# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 23 შაბათი, 30 იანვარი 1910 წ. № 23



განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. ხამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ ხაღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5 დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახება, ერთის თვით მხოლოთ დიდი წერილები და ... პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА".

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



წელიწადი მესამე **დროება** წელიწადი მესამე

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

მომავალ 1910 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორითაც წარსულს წელს გამოდიოდა.

✦ ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1910 წელსაც გაზეთს ექნება ✦

## სურათებიანი დამატება

დამატება გამოვა კვირაობით.

**გაზეთის ფასი დამატებიანა:** წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

გაზეთის ფასი ტფილისში და მის გარეთ (პირველი სტრიქონი) და საზღვარ გარეთ (მეორე სტრიქონი):

| წლ. | 11 თვ. | 10 თვ. | 9 თვ. | 8 თვ. | 7 თვ. | 6 თვ. | 5 თვ. | 4 თვ. | 3 თვ. | 2 თვ. | 1 თვ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8. 50. | 8. — | 7. 50. | 6. 90. | 6. 20. | 5. 50 | 4. 80. | 4. — | 3. 20. | 2. 40. | 1. 60. | — 80. |
| 12. მ. | 11. — | 10. — | 9. — | 8. — | 7. — | 6. — | 5. — | 4. 50. | 3. 50. | 2. 50. | 1. 25. |

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური ✦——

——✦ დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

◀ 1910 წლიურ ხელის მომწერთ დაურიგდებათ ▶

## კედლის კალენდარი 1910 წლის

კვირეულის ფურცლებით.

ტფილისში ხელის მოწერა მიიღება „დროების"-ს კანტორაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ი. ავალიშვილთან; ქალაქ გარედ ხელის მოწერა მიიღება: ქუთაისში—ის. კვიცარიძესთან; ხონში—გიგლა მებუკესთან; გორში—სევ. შველიძესთან; ჭიათურაში სოფრომ ტარუაშვილთან.

**ხელის მოწერის პირობები:**

ხელის მოწერის ფასი ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება მხოლოთ წლიურ ხელის მომწერთათვის, რომელთაც პირველად უნდა შემოიტანონ 3 მან., პირველ მარტისთვის 2 მან., 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მ. 50 კ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან არა ნაკლებ ერთი თვისა და არა უმეტეს წლის გასულისა.

„დროების" კანტორაში ხელის მოწერა მიიღება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამდე. თვის ბოლოს კანტორა კვირა-უქმე დღეებშიაც იქნება ღია.

ქალაქ გარედ ხელის მომწერთ ფული უნდა გამოგზავნონ ამ ადრესით:

Тифлисъ, редакція „Д Р О Э Б А", И. С. Агладзе.


**დადუ ჩიქოვანის ასული ნარაკიძისა** შვილებითურთ აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 31 იანვარს, დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულ მისი მეუღლის

### სპირიდონ ლევანის ძის ნარაკიძის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვიდი 12 საათზე. (1—144—1)

ჟურნალ **„ნაკადულ"-ის რედაქცია** აუწყებს საზოგადოებას, რომ კვირას, 31 იანვარს, გარდაცვალების მეცხრე დღეს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება პანაშვიდი

### მარიამ ივანეს ასულის დემურიას

სულის მოსახსენებლად, 11½ საათზე. (2—1)

**ევა მიხეილის ასული და ლევან როსტომის ძე კობახიძენი** ძმებით და რძლებით გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 30 იანვარს, კალოუბნის ეკლესიაში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი განსვენებულის

### სოფიო |საშა| მიხეილის ასულის აბაზაძის

სულის მოსახსენებლად. (1—კბ.—1)


## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე ვ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყ.- და პარას. 1—2 ს. დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., დღე, 9—11 ს.

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—2-ნახ. ს.

**ფირალოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

**პაპოვი ბ. ა.** ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

**რცხილაძე. ნ.** კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.

**ხობოლევსკი გ. ვ.** ქირურ,. ყოვ დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (100—ნ.—97)



წარმოდგ. № 30-31. **ქართული თეატრი** წარმოდგ. № 30-31.

შაბათს, 30 და კვირას, 31 იანვარს 1910 წელს

გასტროლი ქ-ნ ნინო ჩხეიძისა, ბ-ნთ ვლ. ალექსი-მესხიშვილის და კ. ყიფიანისა.

ქართულ დრამატიულ საზოგ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

პირველად ახალი პიესა **ვასილ ყიფიანისა**

## სამეგრელოს მთავარი ლევან

დრამა 5 მოქმედებად.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ი. გოგოლაშვილი, მ. მდივანი, ბ. ნებიერიძისა, ნ. ჯავახიშვილი, პ. მღთაძე, ნ. ჩხეიძე; ბ-ნნი გ. ალექსი-მესხიშვილი, ი. გრიშაშვილი, ნ. გვარამძე, ზარდალიშვილი, ი. ივანიძე, მგალობლიშვილი, კ. მესხი, მურვანიშვილი, ვ. მატარაძე, ჟივიძე, შ. საღაროვი, ვ. ურუშაძე, კ. ყიფიანი.

ამ პიესისათვის შეკვეთილია ახალი დეკორაციები და იკერება ახალი ტანისამოსი.

**ადგილების ფასები ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.**

მზადდება წარმოსადგენად „შურის ძიების ღმერთი", „დრამატიული გამგეობის წევრი" ი. გომართელისა.

რეჟისორი **კოტე მესხი**. რეჟის. თანაშემწე **ვ. ურუშაძე**.

**დრამ. საზოგადოების ადმინისტრაცია.**



## სახალხო უნივერსიტეტი

(სახალხო სახლი ზუბალაშვილისა)

კვირას, 31 იანვარს **ი. დ. მელიქ-შახნაზაროვი** წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე:

## „დაწყება ახლი დროისა და დანტეს პოეზია"

ლექციის შემდეგ გაიმართება უფასო

## კონცერტი

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი მაქსიმ ვისა, დავიდოვისა, სტოგინა. ბ. ბ. ვართანოვი, გოფმანი, გულიშამბაროვი. **ჯაბაური წაიკითხავს ქართულ ლექსებს.**

დასაწყისი დილის 11 საათზე. ფასები: პარტერი 10 კ. ბალკონი 5 კ.

ბილეთები იყიდება ყოველ დღე როგორც კასაში ისე რკინის გზის სახელოსნოში: „სბორნი" ცეხის კანტორაში ი. მამაცევთან, „ტოკარნი" ცეხში ს. ჩიკვაიძესთან, „ვაგონნი" ცეხში კ. გოგუასთან, „პარავოზების" დეპოში ნ. იასტრებოვთან, ვაგონის პარკში კ. ოტტო. საქონლის სადგურში გ. ფილია, ტრამვაიში არლიძე და ენფიაჯიანცის ფაბრიკაში ვ. კალანდარიშვილი, „შრომის" სტამბაში ნესტორ ცინცაძესთან. (1—1)



**კვირას, 31 იანვარს, 11 საათზე, სამეურნეო ბანკის დარბაზში,**

დანიშნულია ქართულ-დრამატიულ საზოგადოების

## საზოგადო საგანგებო კრება

განსახილველი საგნები: 1. დრამ. საზოგ. გამგეობის მოხსენება საპენსიო თანხის დაარსების შესახებ; 2. გამგეობის სამის წევრის და ერთის კანდიდატის არჩევა; 3. მიღება ახალ წევრთა.

თუ საკმაო რიცხვი წევრთა არ გამოცხადდა, კრება გადიდება შემდეგ კვირისთვის. (2—1)



## ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

**შაბათს, 30 იანვარს, 1910 წელს,**

სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდ. ძმართველ სცენის მოყვარეთა წრის-მიერ წარმოდგენილი იქნება

## „იმედის დაღუპვა"

დრამა 4 მოქმედებად ჰეიერმანისა, თარგმ. დ. მესხის-მიერ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ბარათაშვილი, თამარაშვილი, გოგოლაშვილი, ლეჟავა, ციმაკურიძე, ქიქოძე, შალამბერიძე; ბ-ნნი ანაშვილი, ბაქრაძე, ინაშვილი, პეპანოვი, ხახანაშვილი, მეტრეველი და ნარი.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

ადგილების ფასი ერთი შაურიდან ათ შაურამდე.

შემდეგი ქართული წარმოდგენა გაიმართება შაბათს საღამოს, 6 თებერვალს.

**ანონსი:** მზადდება წარმოსადგენად: **„უდანაშაულოდ დასჯილნი"** კომ. 4 მოქმ. ოსტროვსკისა, **„ბ ძია ვანო"** ა. ჩეხოვისა და სხვა.

რეჟის. **კ. შათირიშვილი.** ადმინისტრატორი **ლ. ვახვახიშვილი.**



## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის,

ვოქზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიაჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**ვ. ვაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

**ვ. ს. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—2½ ს. თვალისა.

**ბ. ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა- ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ებიოპერაცი და კონსილიუმი მორიგე'ით. (წლ.—ნ.—259)



**ქ უ თ ა ი ს შ ი**

კბილის ექიმის **დ. ს. რიყინაშვილის** კაბინეტთან **გ ა ი ხ ს ნ ა**

## სამკურნალო

პირისა და კბილების სენისა. პლომბები, ჩასმა ხელოვ. კბილებისა, გადაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრად. ნიხრი მთავრობისაგან დამტკიცებულია. მოსიარულე ავად. მიიღება ყოველ დღე დილის 8-დან საღ. 7 ს.-მდე. პუშკინის ქუჩა, საკ. სახლი, N 28. **ვიტუშინსკის** აფთიაქის გვერდით. (100—ნ.—95)

**ქუთაისში** ექიმი გაბ. იოს. გოკიელოვი

დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 ს. და საღამოთი 5½—6½ ს. ვენერიულ სნეულებით ავადმყოფების მიღება და აგრეთვე **ცისტოსკოპია და ურეტროსკოპია** (ელექტრონის სინათლის საშუალებით ბუშტების და საშარდე მილის გასინჯვა) საღამოს 6½—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჭლექიანებისა. ე ლ ე ქ ტ რ ო ტ ე რ ა პ ი ა— ელექტრონის ვიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (25—კვ.—20)

**ექიმი** ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—47

**ექიმი** ვ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

**ექიმი** მ. დ. ბეთანოვი **ქ უ თ ა ი ს შ ი,**

მიიღებს სიფილისით, ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფებს დილით 9—11 ს., საღამოთი 5—8 ს. აფთიაქის და კლუბის ქ. კუთხე, N 24/2. (25—ფ.—5)

**ექიმი** შ. მიქელაძე

**იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ.** საღამოს 5—6 საათზე. ავლაბარი, კაზენოვის ქუჩა N 17, პროვიანტის მაღაზიის პირდაპირ. ტელეფონი N 816. (0—13)

**ექიმი** კ. თ. ტყეშელაშვილი **ქ უ თ ა ი ს შ ი**

იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ, შარდის და კანის** სნეულებით ავადმყოფთ. დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (ქარხანა). (25—კვ.—11)

**სპეციალისტი ექიმი ქუთაისში**

**ჩ ა რ ე ქ ო ვ ი**

იღებს განსაკუთრებით **სიფილისიან, ვენერიულ და კანით** ავადმყოფებს. ილია ჭავჭავაძის ქუჩა (გუგუთის ქუჩა), აბულაძის შესახვევი, იღხელიანის სახლი. დილით 12—2 ს. საღამოთი 6 საათზე. 25—ფ.—26



**ექიმი** კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდ-რონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა. (0—586—355)

**ექიმი** გ. მამაკიანი **შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა.** ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 5—6 ს, ძიძეილის პრ., N 36, სახ. ჭავჭანიძისა. (100—ხალ.—84)

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი** ვ. ლამბაშიძე

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

**ექიმი** კბილისა რომანიშვილი-დგებუაძისა

იღებს ავადმყოფებს 2—6 საათზე. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდომ ფასში. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში. ბინა: ავჭალის ქუჩა, N 34. (50—ნ.—4)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. გედევანიშვილისა.**

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 20, ტელ. N 79. (0—ნ.—88)

**ექიმი** ა ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი** დ. ახვლედიანი

იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ

**ექიმი** ვასილ წერეთელი **ქ უ თ ა ი ს შ ი**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—104)


# ნაწყვეტები

ვინც ჩვენს ცხოვრებას თვალ-ყურს ადევნებს, იმას არ გამორჩებოდა ერთი საგულისხმო მოვლენა—ეს სრული უქონლობა ჩვენში თუნდაც ერთ სერიოზულ თვიურ ჟურნალისა. იმ დროს, როდესაც რუსეთში ასეთი გამოცემა მრავალია და მრავალ მკითხველსაც პოულობს, ჩვენში ასეთი ჟურნალი ერთიც არ არის, თუ არ მივიღებთ მხედველობაში „განათლებას", რომელიც უფრო კვირეულ ჟურნალს წააგავს და ვრცელ წერილებს არ ათავსებს. ამავე დროს ჩვენში გამოდის ორი დღიური გაზეთი „დროება" და „მომავალი" და მრავალი კვირეული ჟურნალი, მათში ერთი სამეურნეო, ერთი იუმორისტიული და ერთიც ისეთი, რომელიც მხოლოდ სიტყვა-კაზმულ ნაწარმოებს და კრიტიკულ წერილებს ათავსებს. ასეთი თვიური გამოცემა ჩვენთვის მეტად საჭიროა. საჭიროა იმიტომ, რომ იქ შეიძლება დაიბეჭდოს მრავალი ისეთი ნაწარმოები, თარგმანი, პუბლიცისტური და პოპულიარულ-სამეცნიერო წერილები, რომელნიც დღეს, საუბედუროდ, ვერსად ადგილს ვერა პოულობს.

ჩვენი სიტყვა-კაზმული მწერლობა, განსაკუთრებით ბელეტრისტიკა, დღეს დღეობით მეტად დაქვეითებულია. ეხლა თუ შეხვდებით სადმე კაზმულ ნაწარმოებს—მხოლოდ პატარას და დიდი თუ იქნება, მაშინ, შესამჩნევი ნაწარმოებიც რომ იყოს, ვერსად იშოვის ადგილს. ასეთ ნაწარმოებისთვის სქელ თვიურ ჟურნალში ადვილად მოინახება ბინა. მაშინ ადვილად იშოვის ადგილს აგრეთვე თარგმანიც უცხო ენიდან კაზმულ ნაწარმოებებისა. კარგი ნაწარმოებების თარგმანი კი დიდ გავლენას იქონიებს ჩვენს მწერლობაზე და კარგ თარგმანთან კარგი ორიგინალიც გაჩნდება.

დიდი მნიშვნელობა აქვს თვიურ ჟურნალს აგრეთვე სხვა მხრივაც: თვიურ ჟურნალში ადგილი აქვს უფრო სერიოზულ პუბლიცისტურ წერილებს, თვიურ ჟურნალში უფრო სერიოზული და განსაკუთრებით უფრო დინჯი სჯა-ბაასია და მსჯელობა, ვიდრე ეს შესაძლებელია დღიურში.

მაგრამ ყველაზე უფრო საჭიროა ასეთი ჟურნალი მეცნიერულ ცოდნის პოპულიარიზაციისათვის. ასეთ ჟურნალში შესაძლებელი იქნება დაიბეჭდოს ვრცელი წერილები მეცნიერების სხვა და სხვა დარგიდან. დღეს-დღეობით ჩვენ გაცილებით მეტი მცოდნე პირი და თვით მეცნიერი გვყავს, ვიდრე ამ 20-25 წლის წინად გვყავდა. მათ ეხლა დიდი სურვილიც რომ ჰქონდეთ, დასწერონ რაიმე ვრცელი მეცნიერული, მაგრამ პოპულიარული, სურვილს ვერ აასრულებენ და თავიანთ წერილებს ადგილს ვერ უნახავენ. ამგვარ წერილებს კი ჩვენში ორგვარი მნიშვნელობა აქვს. პირველი და უმთავრესი ის არის, რომ ჩვენი ხალხის უდიდეს ნაწილს, რომელმაც უცხო ენები არ იცის, შეძლება მიეცემა მეცნიერების სხვა და სხვა დარგის გაცნობისა და თავის განვითარებისა, და მეორე კი ის, რომ თან და თან შემუშავდება ქართული მეცნიერული ტერმინოლოგია, რომელიც ჩვენდა საუბედუროდ დღეს-დღეობით თითქმის არა გვაქვს მეცნიერების არც ერთ დარგში, გარდა ქიმიისა, რომლის ტერმინების შემუშავებაში უდიდესი ღვაწლი მიუძღვით განსვენებულ პროფესსორს ვასილ პეტრიაშვილს და იმის მოწაფეს ა. კლდიაშვილს. პროფ. ვ. პეტრიაშვილმა ქართულად დასწერა და დაბეჭდა ორი ისეთი შრომა, როგორიც „ღვინის დაყენება" და „რძე"-ა, რომელნიც, რუსულად რომ ყოფილიყო დაბეჭდილი, დიდს სახელს მოუპოვებდა მათ ავტორს. ა. კლდიაშვილმა დაიწყო ქართულად ქიმიის სახელმძღვანელოს წერა, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, მუხთალმა ბედმა არ მოათავებინა დაწყებული საქმე.

იმ დროს ასეთ შრომების დაბეჭდვა შესაძლებელი იყო, ვინაიდან, თუმცა დიდი ვაი-ვაგლახით და გაჭირვებით, მაგრამ მაინც გამოდიოდა თვიური ჟურნალი, „მოამბე". ეხლა კი ერთი თვიური ჟურნალიც არა გვაქვს ისეთის ხასიათისა, როგორიც იყო „მოამბე" და როგორიც ეხლა რუსეთში არიან „Русское Богатство", „Русская Мысль", „Современный Міръ" და სხვები, ამ ჟურნალებმა რუსეთში დიდი როლი შეასრულეს და ასრულებენ კიდეც. ჩვენში ხომ ასეთ ჟურნალს კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ჩვენის მწერლობისა და ცხოვრებისათვის, გაცილებით უფრო დიდი, ვიდრე ქართულ კვირეულ ჟურნალებსა აქვთ, რომელნიც ამ ბოლო დროს პანტასავით მოეფინნენ მთელ საქართველოს, ან და ქართველების მიერ გამოცემულ რუსულ დღიურ გაზეთებს.

* * *

ამ უკანასკნელ გარემოების შესახებ, როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, ამ ბოლო დროს ლაპარაკიც აღიძრა ტფილისის ქართულ და რუსულ პრესსაში. „დროებამ" აღნიშნა ის არა-ნორმალური მოვლენა, რომელსაც დღეს ადგილი აქვს ჩვენს ცხოვრებაში. ტფილისში ამ ჟამად გამოდის რამდენიმე ყოველდღიური რუსული გაზეთი, რომელთა რედაქტორ—გამომცემლებიც და თანამშრომლებიც უმთავრესად ქართველები არიან. ამავე დროს კი იმავ ტფილისში, საქართველოს დედა-ქალაქში ორი დღიური ქართული გაზეთი ქონებრივად ძლიერ შევიწროებულია. ეს მოვლენა თავის თავად არა-ნორმალური მოვლენაა იმიტომ, რომ ასეთ რუსულ გაზეთების მკითხველები და, მაშასადამე, მყიდველებიც უმეტესად ისევ ქართველები არიან. ქართველ ინტელიგენციის ერთი ნაწილი შეეჩვია რუსულ კითხვას, რუსულად წერას, რუსულად აზროვნებას. ასეთი ინტელიგენტები ქართულ გაზეთებს არ ეტანებიან, და თუმცა ქართული გაზეთები არაფრით ჩამოუვარდებიან რუსულებს, და, გარდა ამისა, კერძოდ ქართველთა ცხოვრებაში წარმომდგარ საკითხებს ბევრად უფრო კარგად არკვევენ, ვიდრე ამას შვრებიან ქართველების მიერ გამოცემული რუსული გაზეთები. „დროების" შენიშვნამ დიდი ლაპარაკი გამოიწვია. წარმოიდგინეს, თითქოს „დროება" საერთოდ

რუსულ ჟურნალ-გაზეთების წინააღმდეგი იყოს. საკითხი კი წამოყენებული იყო იმ გვარად, რომ ტფილისის რუსულ გაზეთების ქართველი რედაქტორები და თანამშრომელნი შემცდარი არიან, თუ ჰგონიათ, რომ დიდ სამსახურს უწევენ **ქართველ ხალხს**, თუ ჰგონიათ, რომ თავიანთის მოღვაწეობით შესამჩნევ **ქართულ საქმეს** აკეთებენ.

ჩვეულებრივ სამი მოტივი მოჰყავთ იმის დასამტკიცებლად, რომ მათ მოღვაწეობას დიდი მნიშვნელობა აქვს ქართველთათვის: პირველი ის, რომ აცნობენ მოწინავე რუსის საზოგადოებას და აგრეთვე სხვა ერთ საქართველოს მდგომარეობას; მეორე, თითქოს გავლენას ახდენენ მთავრობაზე ამა თუ იმ ქართულ საქმის გადაწყვეტაში, და მესამეც, რომ არკვევენ სხვა და სხვა გვარ საკითხს საქართველოს და ქართველების ცხოვრებიდან.

დავიწყოთ უკანასკნელიდან. საქართველოს ცხოვრებაში წარმომდგარ საკითხების გარკვევა ყველაზე უფრო საჭიროა თვით ჩვენი ხალხისათვის და არა იმათთვის, ვისაც ჩვენი ხალხის ბედ-იღბალი ან სრულიად არ აინტერესებთ ან და თუ აინტერესებთ, მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მას, სურვილი აქვთ ქართველები გადააგვარონ, გაარუსონ, ხოლო ვისაც სურს ქართველ ხალხს გააცნოს მისი მდგომარეობა, შეაგნებინოს მისი გაჭირვება, ვისაც სურს ქართველ ხალხს გაუღვიძოს ცოდნის სურვილი, ერთის სიტყვით ვისაც სურს იბაასოს ქართველ ხალხთან, მან უნდა სწეროს ქართულად, იმ ენაზე, რომელიც ქართველთა ფართო მასსას, ჩვენი ერის აწმყოსა და მომავალს ესმის და არა ისეთ ენაზე, რომლის გაგება მხოლოდ გადაგვარებულ ქართველებს შეუძლიანთ.

ფიქრი იმის შესახებ, თითქოს ტფილისის რუსულ გაზეთებს რაიმე გავლენის მოხდენა შეეძლოთ მთავრობაზე ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტის დროს, მხოლოდ ტკბილი ოცნებაა. ოცნებაა მით, რომ არ შეესაბამება რუსეთის ცხოვრების რეალურ პირობებს, არ შეესაბამება არც დროსა და არც ადგილს.

დარჩა მესამე საბუთი, რომელიც ყველაზე უფრო მართალი და სერიოზულია. ქართველთათვის უსათუოდ საჭიროა ერთი პროგრესიული რუსული გაზეთი იმ მიზნის განსახორციელებლად, რომ შესაძლებელი იყოს გაცნობა საქართველოს და ქართველთა მდგომარეობისა რუსეთის საზოგადოებისათვის და უზარ-მაზარ რუსეთის იმპერიის მცხოვრებ სხვა და სხვა ერთათვის. საუბედუროდ, ამ დანიშნულებას ვერ ემსახურებიან ჩვენში გამოცემული რუსული გაზეთები, ვინაიდან მეტად ღარიბნი არიან შინაარსის მხრივ და ხან და ხან კი ზოგიერთი მათგანი ისეთ უცნაურ რამესაც დასწერს, რომ სიწითლეს მოჰგვრის ადამიანს. გარდა ამისა, ზემო-დასახულ მიზნის მისაღწევად საკმარისია ერთი რუსული გაზეთი, როგორც ზევით ვთქვით სერიოზული და შინაარსიანი, ჩვენში კი დღეს-დღეობით გამოდის რამდენიმე რუსული გაზეთი, რომელნიც უფრო ხშირად მთელ თავიანთ დროს ერთმანეთთან კინკლაობას ანდომებენ.

**ახალი.**

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

29 იანვარი.

## საზღვარ-გარედ.

**მადრიდი**. ახალი სამინისტროს შემადგენლობა: პრემიერ-მინისტრი—კანალეხასი, შინაგან-საქმეთა—საგასტა, სახალხო განათლების—რომანონესი და სხვა.

**რომი**. შეერთებულ სოციალისტების კონგრესმა დაადგინა, მთავრობას მხარი არ დაუჭიროს და უკუაგდოს საზღვაო შეიარაღების ახალი პროგრამმა. რაც შეეხება მომავალ არჩევნებს, კონგრესმა სასურველად იცნო, რომ არჩევნების ტაქტიკა თვით პარტიულმა ორგანიზაციებმა შეიმუშაონ.

**ბერლინი**. პრუსიის ლანდტაგი. იხილავენ საარჩევნო რეფორმის კანონ-პროექტს. კანონ-პროექტის განხილვას და კანცლერი ყველა მინისტრები დაესწრნენ. საათ ნახევარი ილაპარაკა კანცლერმა. ბეტმანის დანახვაზე მემარცხენეებმა აურზაური ასტეხეს. კანცლერმა, სხვათა შორის, სთქვა: პრუსიის კანონმდებლობას ავტოკრატიული და პლუტოკრატიული ბეჭედი არ აზის. პრუსიის კანონმდებლობით დაწესებულია შემოსავლის დაკვალად გადასახადი, გადასახადი კაპიტალზედ. რაიც ჯერეც ვერ განუხორციელებიათ დემოკრატიულ სახელმწიფოებში. ამას გარდა სახელმწიფო კარგად ეკიდება მუშებს. ხელს არ უშლის თვითმართველობების განვითარებას, რომელთაც კულტურულის მუშაობით პრუსიას შეუძლიან იამაყოს მთელი ქვეყნის წინაშე. მთავრობა სახელმწიფოს ემსახურება და არა რომელიმე პარტიას ამ ჟამად პარლამენტები წინანდებურად პოლიტიკურ აღზრდის და არჩევნების დემოკრატიზაციის ადგილებად აღარ ჩაითვლებიანო (ხმაურობა მარცხნივ). მთავრობა უკან არ დაიხევს სოციალ-დემოკრატების შიშითო. დასასრულ კანცლერმა მუხლ-მუხლ განიხილა კანონ-პროექტი და განმარტა თუ რა იყო მიზეზი, რომ მთავრობამ უარჰყო ფარული კენჭის ყრა. მემარცხენენი კანცლერის სიტყვას სტვენით შეხვდნენ.

**ვენა**. „კორესპონდენტ ბიუროს“ სალონიკიდან ატყობინებენ: იმ კომისიამ, რომელიც კარიაფერიაში დაპატიმრებულ რეაქციონურ მოხელეების საქმეს იძიებდა, გამოარკვია, რომ ალბანელების ზოგიერთი ჯგუფები რეაქციონურ აგიტაციას ეწევიან. ამ საქმეში ბევრი ცნობილი პირია ჩარეული. დამნაშავეებს სამხედრო სამართალში მისცემენ. ამბობენ, ვითომ ამ ჯგუფებს განზრახული ჰქონდეთ აბდულ-ჰამიდის განთავისუფლებაო.

**ხარბინი**. 11 თებერვალს შედის ძალაში კანონი, რომლითაც მაკედონიის პროვინციიდან და რეილუნციანის პროვინციის შვიდი ოლქიდან პურის გატანა აკრძალულია. მთავრობამ დროებით ნება დართო, რომ ბოდუნედან პური გაიტანონ.

**დუბლინი**. ირლანდიელ ნაციონალისტებმა თავმჯდომარედ ხელმეორედ აირჩიეს დჯონ-რედმონდი. ნაციონალისტებმა დაადგინეს პარტიიდან გამორიცხონ ობრიენის მომხრეები.

**ნიუ-იორკი**. მუშათა პარტიის წლიურ კრებაზედ სიტყვა წარმოსთქვა კეიერ-გარდიმ. კეიერ-გარდიმ, სხვათა შორის, სთქვა: ინგლისის არჩევნებმა პოლიტიკური მდგომარეობა შესცვალეს. ლიბერალები მუშათა პარტიის კანდიდატებს ცუდად ექცეოდნენ და ეს გარემოება, რა თქმა უნდა, ხელს არ შეუწყობს მუშათა პარტიას, ლიბერალებს უფრო მჭიდროდ დაუკავშირდნენ. რაც შეეხება ლიბერალების გადაწყვეტილებას ლორდთა პალატის შესახებ, აქაც მუშათა პარტიას ეჭვი ებადება ლიბერალების გულწრფელობაშიო.

**ბუდაპეშტი**. იგლოს პროვინციაში დამატებით არჩევნების დროს აირჩიეს ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი იერონიმი. ამ გარემოებას დიდ მნიშვნელობას აძლევენ, როგორც სჩანს ხალხი მთავრობისკენ იხრებსო.

## არჩევნები ფინლიანდიაში

**ჰელსინგფორსი**. სოციალ-დემოკრატებმა მიიღეს 310,107, სტაროფინებმა 168,891, მლადოფინებმა 111,119, შვეციის სახალხო პარტიამ 102,474, აგრარიებმა 53 035 და ქრისტიანმა მუშებმა 16,043 ხმა. სტაროფინები დაჰკარგავენ 6, მუშები ერთ ადგილს. სოციალისტები მოიგებენ 2, აგრარიები 4, შვეციის სახალხო პარტია 1 ადგილს.

## რ უ ს ე თ ი

**ჩერნიგოვი**. ადმინისტრაციის განკარგულებით დაკეტილ სამკითხველო წიგნთ-საცავის საზოგადო კრებამ დაადგინა სამკითხველო ქალაქს გადასცეს. სამკითხველომ 30 წელიწადი იარსება.

**პეტერბურგი**. კერჩის საგრადონაჩალნიკოსა და კიევის გუბერნიაში გაძლიერებული წესები 1910 4 სექტემბრამდე კიდევ დარჩება. გაძლიერებული წესები მოიხსნა ტომსკის გუბერნიის შემდეგ მაზრებში. ბიისა, ზმეინიგოროდისა, კაინსკისა, ბარნაულისა, ტომსკისა და მარიინისა. პოდოლისა, და ვოლინის გუბერნიებსა, შუა-აზიის რკინის გზის მიდამოებსა, კრასნოვოდსკსა, კიზილ-არვატსა, ასხაბადსა და მერვაში განსაკუთრებულ წესების მაგიერ შემოღებულ იქნება გაძლიერებული წესები.

**პეტერბურგი**. უმაღლესის ბრძანებით რევიზიას გაუკეთებენ: სენატორი ნეიდგარდი—პოლონეთის საზოგადო და მთავრობის დაწესებულებებს, სენატორი დედიულინი—კიევის დაწოდესის სამხედრო ოლქების საინტენდანტოებს. სენატორი გრაფი მედემი—დასავლეთ ციმბირი და სენატორი გლიშინსკი აღმოსავლეთ ციმბირის საინტენდანტოებს.

**პეტერბურგი**. გათავდა სლავიანთა ურთიერთობის საზოგადოების კრება. პრესას გადაეცემა მხოლოდ რეზოლიუციები. კრებაში, სხვათა შორის, მონაწილეობას იღებდნენ კრამარჟი, კონევი, კალინკოვი, ლიუდსკანოვი, დმოვსკი და სტრაშკევიჩი. სლავიანთა კრება მოხდება ქალაქ სოფიაში, 24 ივნისს. კრება განიხილავს სრულიად სლავიანთა ბანკის დაარსების და რუს და პოლონელების დამოკიდებულების საკითხს.

**პეტერბურგი**. სენატმა უყურადღებოდ დასტოვა პლოცკის გუბერნიის 55 სოფლის მოსამართლის საკასაციო საჩივარი. ბრალდებოდათ პოლონურ ენაზედ საქმის წარმოება, რისთვისაც სამოსამართლო პალატამ სხვა და სხვა ვადით სატუსაღო გადაუწყვიტა.

**„დროების“ ხვალინდელ სურათებიან დამატების შინაარსი: „ტენტაჟილის სიკვდილი“, დრამა (დასასრული) მეტერლინკისა, თარგ. თ. ნათიშვილისა, „მითხარ მყინვარო!“ ლ ქსი გრიშაშვილისა, წვრილი ამბები; სურათები: „მოულოდნელი სანახავი“, სურათი შმიტისა, ტფ. გიმნასტიური საზოგადოება „სოკოლი“ და კარიკატურა.**

# ახალი ამბავი

## ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **არა-რუსთა სკოლა**. სათათბიროს აზრადა აქვს შეიმუშაოს დებულება არა-რუსთა („ინოროდცების“) სკოლებისთვის. პროექტი უკვე შეუდგენიათ. „ნოვ. ვრ.“-ს სიტყვით, პროექტით იმ მაზრაში, სადაც არა-რუსნი სჭარბობენ (50% მეტია), შეიძლება დაარსდეს დაწყებითი სასწავლებლები, სადაც სწავლება დედა-ენაზე სწარმოებდეს, თუ ამ ენაზე არსებობს მწერლობა და ლიტერატურა და თუ სკოლის რაიონში მოიპოვება ორთა-შუა რიცხვით 50 რუსულ ენაზე არ მოლაპარაკე სასკოლო ჰასაკის ბავშვი ერთის ეროვნებისა. ისეთ ენად, რომელსაც მწერლობა და ლიტერატურა აქვს, ითვლება: პოლონური, ლიტვური, გერმანული, თათრული, ესტონური, ლატიშური, სომხური და ქართული. დედა ენაზე სწავლება უნდა შემოღებულ იქნას მცხოვრებთა სურვილის თანახმად, რომელიც უნდა გამოიხატოს განაჩენით ან შუამდგომლობით. ასეთ სკოლაში სწავლა გათავებულმა უნდა იცოდეს რუსულის ლაპარაკი და კითხვა. დებულების შესამუშავებლად სათათბიროს არჩეული ჰყავს კომისია. კომისიის უკანასკნელ სხდომაზე, როგორც ბაქოს გაზეთები გადმოგვცემენ, ფონ-ანრეპსა და ბულატს წინადადებანი შეუტანიათ, რომ არა რუსთა სკოლები დატოვებულ იქნან პოლონეთში და ლიტვაში. კამისიას ორივე წინადადება მიუღია. მაშინ მემარჯვენეებს ირონიით შეუტანიათ წინადადება, რომ ბარემ ეს წესი კავკასიაზედაც გაავრცელეთო. ფონ-ანრეპს სწყენია ასეთი ირონია და სხდომა შეუწყვეტია...

✦ **დუშეთის საქმე**. [illegible] იუწყება: სენატმა უყურადღებოდ დასტოვა საქმე 12 ქართველისა, რომელთაც ბრალდებოდათ დუშეთის ხაზინის გაძარცვა და რომელთა საქმეც აგერ წინად ტფ. სამოსამართლო პალატამ განიხილა და ბრალდებულთ სხვა და სხვა ვადით კატორღა და ციხე გადაუწყვიტა.

✦ **აკაკი და ნობელის პრემია**. როგორც „ნ. რ.“-ს გაუგია, ფრანგ-ჟურნალისტთა ჯგუფს განუზრახავს შუამდგომლობა აღძრას ნობელის კომიტეტის წინაშე, რომ ნობელის პრემია აკაკის მიეცეს.

✦ **ქართული საზოგადოება საზღვარ-გარედ**. როგორც გვატყობინებენ, საზღვარ-გარედ პარიზში მყოფ ქართველებს დაუდგენიათ, დაარსონ ქართული საზოგადოება. საზოგადოებას აზრად ექნება, სხვათა შორის, ევროპას გააცნოს ქართველი ერის ცხოვრება, წარსული და თანამედროვე, გადაითარგმნოს ფრანგულად საუკეთესო მწერალთა ნაწარმოებნი და სხვა. წესდება უკვე შეუმუშავებიათ. საზოგადოება მალე დაიწყებს მოქმედებას.

✦ **წერა-კითხვის საზოგადოება**. წ.-კ. საზოგადოების მთავარმა გამგეობამ 29 იანვრის სხდომაზე 12-მდე საქმე განიხილა. სხვათა შორის, მოისმინა მოხსენება საზოგადოების ყვირილის განყოფილებისა — ნება დაერთოს მიიღოს თავის გამგებლობაში ადგილობრივი ქალთა კერძო პროგიმნაზია. გამგეობამ დაადგინა, ეცნობოს განყოფილებას, რომ, წესდების ძალით, საზოგადოებას უფლება არა აქვს კერძო სასწავლებელი თავის გამგებლობაში მიიღოს. წიგნების გამომცემელმა ვასილ გედილიამ გამგეობას სთხოვა, მიეცეს იმისთვის უფლება „გლეხი-კაცის ისტორიის“ გამოცემისა. გამგეობამ უფლება მისცა ამ წიგნის გამოცემისა იმ პირობით, თუ იგი საზოგადოების სასარგებლოდ გადაიხდის 25 თუმანს. ამავე სხდომაზე გამგეობამ დაადგინა, ნაძალადევის ბიბლიოთეკის პასუხის-მგებლად, ნაცვლად განსვენებულის მ. დემურიასი,

# ჩვენი თეატრის მატიანედან

(შემდეგი*)

როგორცა ვსთქვით ჟურნალ „მნათობის“ გარეშემო მყოფმა პატარა წრემ განიზრახა თეატრის აღდგენა. ჟურნალის გამოცემაზე ნებართვის თხოვნის შეტანის და საჭირო სამზადისის შედგომისათანავე ის წრე თეატრის საქმესაც შეუდგა. წრეს შეადგენდნენ ლადო აბაშიძე, კოტე მაისუროვი, კოლა ხერხეულიძე, აბელ სუქიასიანი, ვასო თარხნიშვილი, სოსიკო ბაქრაძე, ქარუმ ნაცვლიშვილი, იასონ ნათაძე, ლაზარე ეგნატეშვილი, სიკო მგალობლიშვილი და დიმიტრი ბარამიშვილი. წრის, ესე ვსთქვათ, შუა გული „მნათობის“ რედაქცია იყო. თავის ორიოდე მახლობელი თანამოაზრით. ამ წრეს მრავალი დამხმარე ეხვია გარს. ესენი იყვნენ მღებრიშვილი, ალხაზოვი, იზმაილოვი, აგიაძე, კუხიანიძე, იაკ. (ალ.) ბერიძე, იონა გაწერელია, ვანო ჩოლოყაშვილი, მერ. კორღანოვი, ძველი არტისტი იოს. ელიოზოვი და სხვა. წრის წევრებიცა და მისი დამხმარენიც, გარდა იოს. ელიოზოვისა, სულ ყმაწვილ კაცობა იყო; ხოლო მათში დიდი ნაწილი ჯერ ისევ მოსწავლენი იყვნენ: სემინარიელები და გიმნაზიელები.

1867 წელს შემოდგომაზე მოყვარულთა წარმოდგენების მართვა დავიწყეთ. მეტად ძნელი იყო ჩვენთვის ეს საქმე. ჯერ ერთი არავითარი გავლენა და მნიშვნელობა არა გვქონდა საზოგადოებაში; მეორე—ბინა არსად მოგვეპოვებოდა არა თუ წარმოდგენების გასამართავად, არამედ არც რეპეტიციებისთვის (ამ უკანასკნელისთვის მომავალ რედაქციის პატარა ოთახი იყო) და მესამე—როლების აღმასრულებელი ქალები არა გვყავნდა. ჩვენი ერთად-ერთი ძალა ის იყო—შრომა არ გვეზარებოდა, და რაკი დაჟინებით ვადექით აზრს—მარცხს ჯერ ვუშინდებოდით. ყველა ჩვენგანი მეტის-მეტ გულმოდგინებით და ერთგულებით ეკიდებოდა საქმეს, ერთნაირად ვიყავით გატაცებულნი იმ აზრით, რომ—**თეატრი უნდა დავაფუძნოთ**. მეორე ჩვენი ძალაც ის იყო, რომ ყველას როლის აღსრულების ნიჭი საკმაოდ ჰქონდა, და ზოგნი ისეთებიც იყვნენ, მაგალ. ლადო აბაშიძე, ლაზარე ეგნატიშვილი, აგიაძე, სუქიასიანი და სხვანი, ჩვენს თეატრს რომ შერჩენოდნენ, მისი დამამშვენებელნი შეიქნებოდნენ. პირველ ხანში ქალების როლს ყმაწვილ-კაცები ასრულებდნენ, მოწაფენი: სემინარიისა—მღებრიშვილი და სხვ. და გიმნაზიისა—იზმაილოვი, ალხაზოვი და სხვ. შემდეგში, როდესაც შეუძლებელი შეიქმნა ამ პირობებში ყოფნა და ქალის როლების აღმასრულებელი ყმაწვილებიც, სწავლის განგრძობის მიზეზით, ჩამოგვეცალნენ, მაშინ ძველი არტისტის იოსებ ელიოზოვის რეკომენდაციით ერთი ქართველი ქალი (იმის სიტყვით, ძველი მსახიობი) მივიღეთ დასში და ორიც სომხის აქტრისა საიდანღაც მოვიშველეთ. ქართველის გვარი აღარ მახსოვს, ხოლო სომხის აქტრისები იყვნენ არამიანცისა და აბრამიანცისა. ესენი ფასით გამოდიოდნენ სცენაზე, თუმცა ფასის გაღება ჩვენთვის ძნელი იყო. ქართველი ქალი ვერ გამოდგა, როლის აღსრულება რიგიანად ვერ შეეძლო; არც სომხის ქალები იყვნენ სახარბიელონი, მაგრამ მაინც იმათით, როგორც იყო, იოლად მივდიოდით, თუმცა კი დიდი გაჭირებითა. ქართული უხეიროდ იცოდნენ და წერა-კითხვა კი სულ არა. ამიტომაც იძულებულნი ვიყავით, როლები იმათთვის სომხური ასოებით გვეწერა. წარმოდგენებს ნემცების კლუბის თეატრში ვმართავდით.

ესე განვაგრძეთ საქმე 1868 წ. ბოლო ხანებამდის. ამ ხნის განმავლობაში ბევრი გაჭირვება და ჭირის ოფლი გამოვიარეთ, მაგალითად, იმის გამოისად, რომ კლუბის გამგენი წარმოდგენის დასაწყისის წინ კარებს ჩაუკეტდნენ წარმოდგენაზე მოსულ საზოგადოებას და გამოგვიცხადებდნენ: სანამ ქირას არ გადაიხდით, კარებს არ გაგიღებთო. ბევრი რბენა და ხვეწნა დაგვჭირებია ამ ქირის საშოვნელად, რაკი კასსაში საკმარისი ფული არ აღმოჩენილა (ჩვენმა საზოგადოებამ მაშინ ამ თავით ბილეთების ყიდვა არ იცოდა). ამით საზოგადოება ბევრჯელ და დამფთხალა და წარმოდგენებს საკმარისი შემოსავალი არ მოუცია.[10] წარმოდგენის მეორე დღეს კიდევ მემუსიკეთ, თუ საზანდრის დასტას,[11] ტანისამოსისა და ავეჯის მაქირავებელთ და მსახიობ ქალთ ბევრნაირად დაურბევივარ თავიანთ ფულის მისაღებად. ამას ზედ საზოგადოების სრული გულგრილობა, კილვა-ზრახვა და მაშინდელთა „დიდთა და ძლიერთა ამ ქვეყნისათა“ (ჩვენივე საზოგადოებიდან) თანაგრძნობისა და დახმარების მაგიერ, ჩვენი აბუჩად აგდება და „ბიჭ-ბუჭების“ სახელის შემოძღვნა დაუმატეთ, და ჩვენი მაშინდელი მდგომარეობის სურათი სრული იქნება.

ჩვენ წევრთა ლადო აბაშიძის, კოლა ხერხეულიძის და ვასო თარხნიშვილის მეოხებით ორი დიდად თანაგრძნობელი ოჯახი გაგვიჩნდა. ეს ოჯახები იყვნენ თ. გიგო და მისი მეუღლე, პოეტი ქალი, ნინო ორბელიანისა (თვითონ ლადო აბაშიძის ოჯახთან საერთო) და კოლა ხერხეულიძისა. ჩვენი წრე, რაკი სხვა ესაფერი ბინა არ ჰქონდა, თავის თეატრის საქმით 1868 წლიდანვე ოჯახებს შეეკედლა. კრებებისთვისა და რეპეტიციებისთვის ბინად მათი სახლი გაიხადა და მათი აქტიური დახმარებითაც ხშირად სარგებლობდა: კოლა ხერხეულიძე მუდამ როლებს ასრულებდა, ხოლო გიგო ორბელიანი ხშირად გვშველოდა რეჟისსორობით, მსახიობთა გრიმის კეთებით და ზოგჯერ როლებსაც იკისრებდა ხოლმე. ხოლო მისი კნეინა ნინო სცდილობდა ქალებისთვის როლების აღსრულება გაებედვინებინა.

უფრო ხშირად სათეატრო ყრილობები და რეპეტიციები კოლა ხერხეულიძის სახლში გვქონდა. მისი და, ახლად წმ. ნინოს სასწავლებელში კურს დამთავრებული, ბაბო პირველ ხნიდანვე დიდის ყურადღებით ადევნებდა თვალ-ყურს ჩვენს „ჩანჩხარს“ და ყველა ჩვენი კრების აუცილებელი წევრი შეიქმნა. დროს განმავლობით თეატრისადმი გულმოდგინება და თანაგრძნობა ემატებოდა, და თითქოს საფიქრელ საგნად შეექმნა ის გარემოება, რომ ჩვენი ოჯახის ქალები სცენაზე გამოსვლას ერიდებოდნენ. როდესაც ქალების როლების მხრივ გაჭირვებულებს გვნახავდა, იტყოდა ხოლმე: „ნეტა რატომ არ შეიძლება, რომ მე ვითამაშოო“? ამ კითხვაზე თითქოს იმის პასუხს ეძებდა, თუ იმ დროის შეხედულებით სცენაზე გამოსვლა რიგიან ოჯახის ქალებისთვის საძრახისი და გასაკიცხი რათ იყო? ეტყობოდა, ამ ჩვენი საზოგადოების უკულმართ აზროვნებას ადვილად უარ-ჰყოფდა, მაგრამ ჩვენ, ჯერ ხანად მაინც, ვიდრე ტოლს არ ვუპოვნიდით, ამ საგანზე მისთვის რისამე რჩევას ვერა ვკისრულობდით. სცენის გარეთ კი რაც რამ შეეძლო, სიამოვნებით გვეხმარებოდა: ტანისამოსის კერვით სცენის საჭირო მოწყობილების მომზადებით და სხ. მის ოჯახში თითქმის მუდამ დღე თეატრის საქმეზე ლაპარაკმა ისე შეაყვარა იმ ქალს თეატრი, რომ ჩქარა, ჩვენდა მოულოდნელად, ის აზრი გამოათქმევინა გაბედვით, რომ სცენაზე როლის აღსრულება პატიოსან ქალს არ დაამცრობს, და გამოგვიცხადა—თუ როლს მომცემთ და ვივარგებ, ვითამაშებო. ეს პირველი იყო, რომ ჩვენს სცენას ოჯახის ქალი შეეძინა. ეს იყო 1868 წ. ბოლო ხანებში.

მაგრამ ერთი ქალით რას გავხდებოდით და მის ტოლს კი იმ ხანად ვერავის გავაბედვინეთ. ზემონათქვამი სომხის აქტრისების მოწვევაზედაც იძულებულნი ვიყავით უარი გვეთქვა, რადგან როლებს რიგიანად ვერ ასრულებდნენ. ამ გაჭირებაში კნ. ნინო ორბელიანისა მოგვეშველა. იმან ორი ქართველი მკერვალი ქალი მოგვიყვანა და როლების აღსრულება აკისრებინა. ამ გვარად სამი ქალი გაგვიხდა; კაცები კი ყველანი როლების აღმსრულებელნი ვიყავით. ამ გვარად მთელი „ტრუპა“ შეგვექმნა; წარმოდგენების მართვა შეგვეძლო, და საქმესაც შევუდექით. ბინის უქონლობა და საზოგადოების გულგრილობა გვაფიქრებდა და ამიტომ ისევ შინაურ წარმოდგენების მართვა ვამჯობინეთ.

იმ ხანებში (1868 წ.) ჩვენი აკაკი ჩამოვიდა რუსეთიდან, და ისიც შემოგვეშველა საქმეში. პირველი შინაური წარმოდგენა არჩილ მუხრან-ბატონის სახლში გავმართეთ (მუხრანიანთ ხიდზე) ხელმძღვანელი აკაკი იყო და პიესაც იმისი ვითამაშეთ, „ძველსა და ახალ შუა“. ამ

*) იხ. „დროება“ № 21.

[10]) ერთ იმისთანა დროს, როდესაც კლუბის გამგემ კარები ჩაგვიკეტა, წარმოდგენაზე მოსული საზოგადოება კლუბის შესავალში და კიბეზე შეჯგუფებულიყო, და დრტვინვის ალიაქოთი იყო ატეხილი, წარმოდგენაზე მოსულმა ალ. არდაზიანმა იმ ალიაქოთის მიზეზი მკითხა, და რომ გაიგო, მსწრაფლ 25 მანეთიანი შემოსწირა ჩვენს კასსას და მით შევასრულეთ კლუბის გადასახადი ქირა და კარებიც გაგვიღეს.

[11]) ერთხელ ისიც მოხდა, რომ მაშინდელმა გამოჩენილმა მომღერალმა სათთარამ, რა ნახა ჩვენი გაჭირება, თავის ჯილდოზე ხელი აიღო და თავის დამჯამეებისთვის თითო წარმოდგენაზე მხოლოდ ხუთ-ხუთი მანეთი მიგვაცემინა. „ჩვენებისგან“ ამისთანა არაფერი დახმარება არ გვახსოვს.

სათანადო მთავრობას წარუდგინოს ტერეზია ხმიადაშვილი და განსვენებულ დემურიას სურათი ჩამოკიდებულ იქმნას ბიბლიოთეკის დარბაზში.

◆ **სასტუმრო-რესტორანების დათვალიერება.** 28 იანვარს, პოლიციის თანხლებით ქალაქის საბჭოს ექიმმა გედალინმა დაათვალიერა სასტუმროები და რესტორანები პოლიციის მეორე ნაწილში. ბევრი სასტუმრო აღმოჩნდა ანტისანიტარულ მდგომარეობაში. ამის გამო სასანიტარო კომისიამ დაადგინა, შუამდგომლობა აღსძრას რომ 12-მდე სავაჭრო დაწესებულება დაიკეტოს იმ დრომდე, ვიდრე პატრონები სანიტარულ მდგომარეობას გაუმჯობესებენ.

◆ **დარჩენილი გადასახადი.** არა ერთხელ აღგვინიშნავს, რომ დასაფასებელ გადასახადის ფული შეძლებულ და გავლენიან პირებზე უფრო მეტია დარჩენილი, ვიდრე ღარიბ ხალხზე. მიუხედავად ბევრის ცდისა და ღონისძიებისა, სავაჭრო სამეურნეო პოლიციის აგენტები ვერ ახერხებენ ფულის მოკრებას. მაგ. ადელხანოვის სააქციონერო საზოგადოებაზე დიდი დასაფასებელი გადასახადია დარჩენილი, სულ 15,000 მან. რადგან ეს ფული სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის აგენტებს ვერ გადაუხდევინებიათ, აგენტი ნ. მარქაროვი სთხოვს ქალაქის გამგეობას, სააქციონერო საზოგადოებას აეწეროს შუა ბაზარში, საკრედიტო საზოგადოების სახლში მოთავსებული მაღაზია და საქონელი გაუყიდოს.

◆ **ილიას ფონდი** განსვენებულ ილია ჭავჭავაძის ფონდის გასაძლიერებლად ქუთაისის ქართულ გიმნაზიიდან 1908 წლის 1 სექტემბრიდან 1909 წ. 1 სექტემბრამდე შეკრებილი 118 მან. და 21 კაპ. უკვე მიიღო წ.-კ. საზოგადოების მთავარმა გამგეობამ. ამავე თანხის გასაძლიერებლად გამგეობამ მიიღო ქუთაისის ქალაქის გამგეობის მოხელე მოსამსახურეთაგან 50 მან. 44 კაპ.

◆ **მარიამ დემურიას გარდაცვალების გამო.** მარიამ დემურიას გარდაცვალების გამო მოვიდა დეპეშები: თავრიზიდან—მღვდელ დათაძის, ექიმ თიკანაძის და ნიკოლოზ ავალიშვილისაგან; ახალქალაქიდან—ვლ. აბაშიძისანან.

◆ **ეპის. კირიონზე.** გაზეთ „რეჩის“ მე-23 ნომერში (12 იანვარი) დაბეჭდილია საუბარი ეპისკოპოს კირიონთან. იქვე მოთავსებულია თვით ეპ. კირიონის სურათი.

◆ **კლუბი ავლაბარში.** ავლაბრელები კარგა ხანია შეუდგნენ კლუბის დაარსებას. 31 იანვრისთვის საღამოთი მარტყოფისა და ობსერვატორის ქუჩის შესართავთან, ხოლოზოვის სახლში, დანიშნულია კლუბის დამაარსებელთა საზოგადო კრება მამასახლისების ასარჩევად.

◆ **წ.-კ. საზოგადოების განყოფილება ფოთში.** როგორც ფოთიდან გვატყობინებენ, კვირას, 31 იანვარს, ფოთში წ.-კ. საზოგადოების განყოფილების დასაარსებლად მოხდება პირველი, დამფუძნებელი კრება საზოგადოების წევრებისა. აირჩევენ გამგეობას და სარევიზიო კომისიას.

◆ **ბაკურიან-ახ ლქალაქის რკინის გზა.** უკვე ვწერდით, რომ მთავრობას აზრადა აქვს, რკინის გზა გაიყვანოს ბაკურიანიდან ახალქალაქამდე და მერე საზღვრამდე. როგორც გავიგეთ, მთავრობას უკვე გადაუდვია 48000 მანეთი გზის მიმართულების გამოსაკვლევად.

◆ **100 მანეთი.** ჟურნალ „ნაკადულის“ სარედაქციო კომისიის თავმჯდომარეს ა. ვ. მდივანს უცნობ პირისაგან 100 მანეთი მიუღია, ეს ფული განსვენებულ დემურიას დასაფლავებას მოახმარეთო.

◆ დღეს, 30 იანვარს, კავკასიის საექიმო საზოგადოების დარბაზში ნაშუადღევის $4\frac{1}{2}$—$5\frac{1}{2}$ საათზე ქ-ნი კარობანოვა ბავშვთათვის რუსულად წაიკითხავს „შეთევზის და თევზის არაკს“. ხვალ, 31 იანვარს, ამავე საზოგადოების სადგომში წაიკითხავენ: ქ-ნი გალარიანი დილის 10—11 საათზედ სომხურად „მალაშა და შაი-მაია“, ქართულად: ქ-ნი ჟორდანიასი, დილის 11—$11\frac{1}{2}$ საათზედ, „მამალი მეჯდანე“ და ქ-ნი მოლოდინოვისა $11\frac{1}{2}$—$12\frac{1}{2}$ საათზედ შიო არაგვისპირელის „ჩემი შვინდა“. ამავე დღეს სადამოთი 5—7 საათზე ექიმები ვ. დ. დამბაშიძე და ნ. დ. ხატისოვი წაიკითხავენ ადამიანის ანატომიის და ფიზიოლოგიის სისტემატიურ კურსს.

◆ 28 იანვარს პოლიციამ დააპატიმრა ანტიკ ალაჯანოვი, რომელიც სამხედრო ბეგრის თავიდან ასაცილებლად იმალებოდა. მადათოვის ქუჩაზე მოვაჭრეს მეორე გილდის ვაჭრის ალექსი ხუდანიანცისთვის მაღაზიიდან ქურდებს გაუტანიათ 3000 მანეთის საქონელი. ამ ქურდობაში ეჭვი მიიტანეს მეეზოვე ალექსანდრე თოლაშვილსა, იოსან პეტროსიანცსა და ნიკიფორე ლევიცკიზე, რომელნიც უკვე დააპატიმრეს და საქმის გამოძიებას შეუდგნენ. 28 იანვარს პოლიციამ დააპატიმრა საგენერალ-გუბერნატოროდან გადასახლებული და ნებადაურთველად დაბრუნებული ონისიმე გიორგობიანი. მე 12 საპოლიციო ნაწილში ჩხრეკის დროს დააპატიმრეს 20 უპასპორტო კაცი.

◆ 28 იანვარს, ღამის 10 საათზე, ტფ. სახაზინო თეატრში თავის მოკვლა განიზრახა ტფ. პოლიცმეისტრის კანცელარიის სტოლის უფროსის თანაშემწემ ანდრია ვიქ სელევიჩმა. დალია ნიშადურის სპირტი და დანით თავი დაიჭრა. მოწამლული საავადმყოფოში გაგზავნეს. ექიმების შემოწმებით სელევიჩს სასიკვდილო არა სჭირს რა, მიზეზი თავის მოკვლისა არ არის ჯერ გამორკვეული.

◆ მეეტლეებს უთხოვნიათ ტფ გუბერნატორისათვის, ნება მისცეს დღისით ბირჟაზე გამოვიდნენ ხოლმე უფარნებოდ, რადგან დღისით ფარნები გვემტვრევაო. გუბერნატორს შესაძლებლად უცვნია მეეტლეთა შუამდგომლობის შეწყნარება და მან ტფ. ქალაქის გამგეობას წინადადება მისცა, წარუდგინოს საბჭოს შუამდგომლობა მეეტლებისა და თუ საბჭომ შეიწყნარა, ცვლილებანი შეიტანოს მეეტლეთათვის გამოცემულ სავალდებულო დადგენილებაში.

◆ მეათე საპოლიციო სავაჭრო სამეურნეო პოლიციის აგენტმა ა. გ. ხარაზიანმა ოქმები შეუდგინა და პასუხის გებაში მისცა ყასპები გრიგოლ ზურაბოვი არუთინ მაკაროვი და ზაქარია ვლადიმიროვი, რომელნიც ყალბ ბეჭედ დაკრულ ხორცს ჰყიდდნენ დუქნებში.

◆ 28 იანვარს, პოლიციის მე-5 ნაწილში, სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის აგენტმა აღმოაჩინა საიდუმლო საყასპო სხვილ-ფეხ პირუტყვისა. ვაჭრებს ოქმი შეუდგინეს და პასუხის გებაში მისცეს.

## ქ უ თ ა ი ს ი

◆ **„პატარა კახი“ რუსულად.** ქ-ნ ნ. ა. ჩარექოვისას უკვე დაუმთავრებია რუსულად აკაკის „პატარა კახი“-ს თარგმნა. თარგმანი საზოგადოდ კარგია.

◆ **ქალაქის საბჭო.** 25 იანვრისათვის დანიშნული ქალაქის საბჭოს მორიგი სხდომა არ შესდგა ხმოსანთა საკმაო რიცხვის გამოუცხადებლობისა გამო.

◆ **საქველ-მოქმედო საზოგადოება.** 24 იანვარს ქუთაისის საქველ-მოქმედო საზოგადოების წევრთა საგანგებო კრებამ ერთხმად დაადგინა, რომ საზოგადოების ადგილი, ინჟენერის ქუჩაზე მდებარე, მიჰყიდოს ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებას 12,000 მანეთად, რადგან არავინ გამოჩნდა ისეთი, რომ ადგილში 12,000 მანეთზე მეტი მისცეს. კრების დადგენილების შესრულება ადგილის გაყიდვის შესახებ მიენდო საზოგადოების წევრს კ. რ. გოცირიძეს. იმის გამოსარკვევად, თუ სად უნდა ინახებოდეს ადგილის გაყიდვიდან შემოსული ფული და რა დანიშნულება უნდა მიეცეს ამ ფულს, არჩეულ იქმნა კომისია, რომელშიაც შედიან: თავ. მ. გ. ფალავა, თავ. დ. კ. ნიჟარაძე, ნ. ი პურადაშვილი და დ. ნ. ავალიანი. ამათ მომავალს მორიგ კრებას უნდა წარუდგინონ თავიანთი მოსაზრება ხსენებულ საკითხის შესახებ.

◆ **ყასბები.** ყასბებმა, რომელთაც ამ ორი კვირის წინად მოუმატეს ხორცის ნიხრს, კვლავ ითხოვეს ნიხრის მომატება: თან იმუქრებიან, თუ ჩვენი თხოვნა არ დააკმაყოფილეთ, იძულებული გავხდებით საქონლის კვლაზე ხელი ავიღოთო. თუმცა არც ეხლა იწუხებენ თავს ნიხრით და ღორის ხორცს 11 კაპ. ნაცვლად სამ შაურად ჰყიდიან, საქონლის ხორცს კი 12 კაპ. ნაცვლად 13 კაპ. გირვანქას.

# მოწერილი ამბები

**სოფ. პატარძეული.** (გარეთ კახეთი) ს. პატარძეული შესდგება ორის ნაწილისაგან: პატარძეული და ბერთუბანი. ამ საზოგადოებას ტყე და საფიხვე ერთი აქვთ, მხოლოდ მინდორს ცალ მხარეს ერთი ხმარობდა და ცალს მეორე. დიდი ხანია, რაც ბერთუბანს და პატარძეულს ერთმანეთში უსიამოვნება ჰქონდათ, საქონლით ერთმანეთს მინდორს უხდენდენ. ამ ორი-სამი წლის წინად ერთმანეთს თოფ-იარაღითაც-კი დაერივნე. ორივე მხარე ჩივოდა, მამული ცოტა მიჭირავსო. ამის გამო წარსულ ზაფხულს მოვიდა მიწის მზომელი, რომ გაეყო სოფელი, მაგრამ რადგან მცხოვრებნი ერთმანეთში არიან არეულნი მამულებით, გაყოფა შეუძლებლად აღიარა. ამის გამო მოვიდა მორიგებული შუამავალი და ყრილობას გამოუცხადა, მინდვრის გაყოფა სახეირო არ არის სოფლისთვის, რადგან ჯერ ერთი დიდი ხარჯი მოგივათ და მეორე, მალე ერობას შემოიღებენ და მაშინ არა თუ გაგაცალკევონ, იქნება სხვა სოფელსაც შეგაერთონო. ამ წინადადებაზე ბერთუბანმა თანხმობა განაცხადა და თავის მხრივ წინადადება მისცა პატარძეულელებს, გაეზომათ მინდორი და კომლეურად თანასწორად გაეყოთ, მაგრამ პატარძეულელები ამას არ დასთანხმდნენ და უეჭველად გაყოფა მოითხოვეს. ადგა მერე მიწის მზომელი და გაზომა მინდორი და რადგან პატარძეულელები ორჯელ მეტნი არიან ბერთუბნელებზე, სამად გაჰყო, რის შედეგიც ის იყო, რომ პატარძეულელებს 150 დესეტინამდე სახნავი მიწა ჩამოერთო ბერთუბნელების სასარგებლოდ. პატარძეულელები ამას არ სთანხმდებიან და ახლა გამზომავ-კომისიას თხოულობენ. ბერთუბნელებიც არაფერს აღარ უთმობენ, რადგან ორას თუმნამდე ხარჯი მოუვიდათ და ამოდენა ფულში ეს მამული მაინც დაგვრჩესო.

ჯერ კი მუშაობა არ დაუწყვიათ, მაგრამ გაზაფხულზე უეჭველია ჩხუბი და შფოთი მოხდება, რადგან პატარძეულელები ნებით არ დაუთმობენ მინდორს ბერთუბნელებს.

1909 წელს აქ პურის მოსავალი კარგი იყო, მაგრამ დავალიანებულს ხალხს ახლამდის არ გაჰყვება. აქაურმა ჩარჩებმა ხომ სული ამოჰხადეს. ხალხს აადევნებენ სტრაჟნიკებს და ვაი იმას ვისზედაც ნისიაა დარჩენილი. შეძლებულმა მცხოვრებმაც უფრო გაასქელეს თავიანთი ჯიბე; აქამდის თუ გასესხებულ ფულის აკრეფაში ხალხს ძალას ვერ ატანდნენ, ეხლა სარგებლობენ მთავრობის მამასახლისით და სულ ტყავს აძრობენ მოვალეებს. თუმანზე ორი აბაზი და ათი შაური სარგებელი კიდევ ეცოტავებათ. დღეს წაართმევენ იმისთვის, რომ ხვალ უფრო სასარგებლო პირობით ასესხონ იმავე გაჭირებულ გლეხს.

ამას გარდა რაც რიდისმე ხარჯი დარჩენილა სოფელზე, ყველაფერი მოაგონდათ. ხშირად ხარჯებში ლოგინს და ისეთ ავეჯს ჰყიდიან რომელიც უფრო საჭირო გლეხისთვის. ჰყიდიან ყველაფერს. ისე არიან შეშინებულნი, რომ სტრაჟნიკის გაგონებაზე კანკალი მოსდით.

პატარძეულელი,

—

**ქვემო იმერეთი.** ქვემო იმერეთში საშინელი ეკონომიური კრიზისია ამ ჟამად. კრიზისის წარმომშობი მიზეზები: მოუსავლიანობა, უმუშევრობა. და აუარებელ გადასახადების გადახდა. გადასახადებმა მეტის-მეტად გაუჭირეს ხალხს საქმე. არა აქვს ფული, რომ კარზე მომდგარი ამკრებნი გაისტუმროს. ან საიდან ექნება, როდესაც ყოველი შემოსავლიანი წყარო მოუსპო. ბევრჯელ გადასახადების დროზე გადაუხდელობისათვის ოჯახიდან ავეჯეულობა წაუღიათ. ნამეტნავად ხშირია ასეთი მოვლენა ეხლა, როდესაც აუარებელი ძველი ნედოიმკა იკრიბება. ხალხის გაჭირვებას არავინ უყურებს და გადასახადებს ჩვეულებრივად ჰკრეფენ. გააქვთ ოჯახიდან საპანი, ლეიბი, ბალიში და სხვა. ხალხმა მაზრის უფროსს ერთ-ერთ სოფლის ყრილობაზე უკვე ამცნო თავისი გაჭირვება და სთხოვა დახმარება იმით, რომ ის დარაჯები, რომელნიც სოფლის ხარჯზე ინახებიან, სოფელს მოაშორონ. მაზრის უფროსმა სთქვა: თქვენზე უფრო ღარიბი საზოგადოება ინახავს დარაჯებსაო“. თუმცა მაზრის უფროსმა ისიც დაუმატა, თუ საჭირო იქნება პირველ იანვრიდან მე თვითონ მოვხსნი დარაჯებსაო, მაგრამ გავიდა იანვრის პირველი რიცხვებიც და დარაჯები კი არავის მოუშორებია სოფლისათვის. ხალხი სასოწარკვეთილებაშია...

1906 წლიდან ქვემო-იმერეთის თვითეული სოფელი ინახავს თავის ხარჯით ოთხ-ოთხ დარაჯს. თვითეულს სოფელს უჯდება ოთხი დარაჯის შენახვა თვიურად ასი მანეთი. მიზეზს ამ დარაჯების ჩაყენებისას სოფელში მაშინ მთავრობა ასახელებდა არეულობებით და ცარცვა გლეჯით, დღეს კი არც არეულობა და არც ცარცვა გლეჯა რომ ისინი საჭირონი იყვნენ. საჭიროა ამას ყურადღება მიაქციოს უმაღლესმა მთავრობამ და თუ დარაჯებს მთლად არ მოაშორებენ სოფელს, რიცხვი დარაჯებისა მაინც შეამცირონ. ამ დარაჯებს სოფლად ეხლა არაფერი საქმე არა აქვთ გასაკეთებელი. გულ-ხელ დაკრეფილნი სხედან ცას შესცქერიან და ამისათვის იღებენ 25 მანეთს თვეში.

ფახკუნჯ.

## თეატრი და ხელოვნება

**ქუთაისი.** დღეს, 30 იანვარს, მსახიობის ა. იმედაშვილის საბენეფისოდ წარმოდგენილი იქნება „ჰამლეტი“. ჰამლეტის როლს შეასრულებს თვით მობენეფისე, რომელსაც აქაურ ახალგაზრდა მსახიობთა შორის ბადალი არა ჰყავს, განსაკუთრებით დრამატიულს როლებში. ბ-ნმა იმედაშვილმა ამ სეზონში საზოგადოების დიდი ყურადღება და სიყვარული დაიმსახურა.

ხუთშაბათს, 4 თებერვალს, ქალაქის თეატრში, ქალაქის მოურავის მეუღლის ა. ბ. ლორთქიფანიძის თაოსნობით, ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ გაიმართება წარმოდგენა, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ქუთაისში კარგად ცნობილი სცენის მოყვარენი. წარმოადგენენ რუსულად ცნობილ პიესას „Дурак“-ს.

—

**ბენეფისი.** რამდენიმე მიმდინარე საქმის განსახილველად 28 იანვარს სხდომა ჰქონდა ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობას. გამგეობამ, სხვათა შორის, დაადგინა ბენეფისი დაუნიშნოს მსახიობ იოსებ ზარდალიშვილს 11 თებერვლისთვის.

—

**სახალხო თეატრი.** დღეს, საღამოს 8 საათზე, ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლში, სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველ სცენის-მოყვარეთა წრის მიერ წარმოდგენილი იქნება: „იმედის დაღუპვა“, პიესა ჰერმანსისა. რეჟისორობს კ. შათირიშვილი.

—

**ქართული თეატრი.** დღეს და ხვალ ქართულ თეატრში ქართულ დრამატიულ დასის მიერ ნინო ჩხეიძის, ვლ. ალექსი-მესხიშვილის და კოტე ყიფიანის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ვასილ ყიფიანის დრამა „სამეგრელოს მთავარი ლევან“.

# სპარსეთი

**რახიმ-ხანის გაცემა.**

როგორც ვიცით, ცნობილი ბელადი სპარსელ შავრაზმელების, ყაჩაღი რახიმ-ხანი, ძალზე დამარცხებული სპარსეთის ჯარის მიერ, რუსეთის სამფლობელოში გამოიქცა და რუსის მთავრობის კალთას შეეფარა. რახიმ-ხანს უნდოდა რუსეთ-სპარსეთის საზღვარს ახლო დარჩენა, ალბად იმ აზრით, რომ ახლო ყოფილიყო და ამას იქითაც მოსვენება არ მიეცა სპარსეთის ახალ მთავრობისთვის; ეგაა კავკასიის ნამესტნიკმა არ შეიწყნარა მისი თხოვნა და ბძანა, რომ სპარსეთის რეაქციის ბელადი ჩრდილოეთ კავკასიაში, ქალ. ეკატერინოდარში დაასახლონ.

რახიმ-ხანის გაქცევა ძლიერ ეწყინა სპარსეთის მთავრობას და ნამეტნავად მეჯლისს. ეგონათ, რომ ამ ძველის წესწყობილების ერთგულ მომხრეს ხელში ჩაიგდებდნენ და სამუდამოდ ანდერძს აუგებდნენ, მაგრამ რახიმ-ხანი დაუბრკოლებლივ გადავიდა რუსეთის საზღვარზე და სამშვიდობო ადგილას მოექცა. ამის გამო მეჯლისის დეპუტატები შეეკითხნენ მთავრობას და განმარტება მოსთხოვეს, რანაირად მოხდა რომ ყაჩაღ რახიმ-ხანმა თავს უშველაო. ამ შეკითხვის განხილვის დროს ბევრმა გამოჩენილმა ორატორმა ილაპარაკა. სხვათა შორის თავრიზის ცნობილმა დეპუტატმა მჭევრ-მეტყველმა ტაგიზადემ. გაიმართა მკაცრი მოთათიანი კამათი. დეპუტატები მეტად მკაცრმდ შეეკითხნენ გარეშე საქმეთა-მინისტრს ალა-სალტანეს, რისთვისა დგას აქამდე რუსის ჯარი თავრიზსა, ყაზვინსა და არდებილში და რა ღონის ძიება მიიღეთ მის გასაყვანადო. ყველა პარტიის წარმომადგენელნი ძლიერ ამტყუნებდნენ და სრულ უმოქმედობას აბრალებდნენ მინისტრს. მინისტრმა ვერა სთქვა რა თავის გასამართლებლად, რიგიანი პასუხი ვერ მისცა მეჯლისს და მეჯლისმაც ერთხმად უნდობლობა გამოუცხადა მინისტრს, რომელიც ამის გამო იძულებული იყო სამსახურიდან გადამდგარიყო.

სპარსეთის მთავრობამ რახიმ-ხანის გაცემა მოსთხოვა რუსეთის მთავრობას იმ საბუთით, რომ რახიმ-ხანი უბრალო ყაჩაღი იყო და მანაურ არეულობით

---

სახლში ოთხი კედლის მეტი არა იყო რა და, მაშასადამე, ყველა საჭირო მოწყობილება ჩვენ უნდა გაგვემართა: სცენა, დეკორაციები, ავეჯეული და სხვა, რაც რამ შესაკერი იყო, ყველა ბაბო ხერხეულიძის ხელით გაკეთდა; სადურგლო საქმეში დურგლებს ჩვენცა ვშველოდით, ხოლო დეკორაციები მუშტაიდში (ვიდალის დარჩენილი) ვიქირავეთ.[12] მკერვალი ქალები მეტად გვიჭირებდნენ საქმეს რეპეტიციაზე დაგვიანებით. სახელოსნოს პატრონი (ბერლემონი თუ ბლოტი, არ მახსოვს), ხან შვიდ საათზე უშვებდა იმათ, ხან რვაზე და ზოგჯერ თითონაც ნაზებს სწევდნენ და სულაც არ ესწრობოდნენ რეპეტიციებს. ეს მეტად გვიშლიდა ხელს და ხშირად გვჭირდებოდა ჩვენგანი ვინმე გაგვეგზავნა იმათ მოსაყვანად დიდი ხვეწნა ვედრებით.[13]

ესე ვაი-ვაგლახით ამ სახლში ორი წარმოდგენა გავმართეთ აკაკის დახმარებით. საზანდარ მუსიკაცა გვყავდა, საზოგადოებაც ბლომად დაესწრო. შემოსავალმა ხარჯი დაჰფარა, ზოგი რამ სცენის მოწყობილობაც შეგვძინა: ფარდები, ავეჯი, ტანისამოსი (მეტი შემოწირული იყო) და სცენისათვის საჭირო ხის მასალა. ამ ნივთების საწყობად ბაბო ხერხეულიძის სახლი გავიხადეთ.

ეს წარმოდგენები 1868 წლის ბოლოს და 1869 წლის დასაწყისში გვქონდა. ამ წელს ერთი-ორი წარმოდგენაც სხვა გავმართეთ ნემეცების კლუბში, მაგრამ იმ წარმოდგენებმა სანუგეშო შედეგი მაინც არა მოგვცესირა, თუმცა უფრო წესიერიც იყო იგი, რადგან ქალების როლს ქართველი ქალები თამაშობდნენ. ყველა ჩვენ წარმოდგენების შემდეგ ის გარემოება გვიხდებოდა თვალსაჩინო, რომ ჩვენგან ნაკისრი საქმე, —ქართული თეატრის დაფუძნება, —შესაფერ გზაზე არა გვქონდა დაყენებული. ჩვენს წარმოდგენებს „მოყვარულთაგან“ თავიანთ სასარგებლოდ გამართულად სთვლიდნენ, თუმცა ცხადიც იყო, რომ ბევრი შრომისა, ხარჯისა და ზარალის მეტს ვერას ვხედავდით. არავინ იცოდა და არც თუ ჰსურდათ სცოდნოდათ, რისთვის ვკისრულობდით იმდენ მარცხსა და გაჭირვებას, ხოლო ჩვენი იმ დროის „სახელოვანი“ ინტელიგენცია, ლიტერატორ-საზოგადო მოღვაწენი, თანაგრძნობა-დახმარების მაგიერ, კიცხვითა და დაცინვით ზევიდან დაგვცქეროდნენ, და თუ ორიოდეს გაეგო ჩვენი განზრახვა—სიცილადაც არა ჰყოფნიდად, და რომ შესძლებოდათ, საგიჟეთში ამოგვაყოფინებდნენ თავს. მართალია, ჩვენი საქმის დასაწყისიდანვე ანტ. ფურცელაძე თანამგრძნობელი და ზნეობითად დამხმარე იყო ჩვენი, შემდეგში პ. უმიკაშვილმაც გულითადი განწყობილება დაიჭირა ჩვენთან, აკაკიმაც, როცა ტფილისში ჩამოვიდა, აქტიური მონაწილეობა მიიღო ჩვენ საქმეში, მაგრამ მაინც ჩვენი საქმე მთელი ჩვენი საზოგადოების საქმედ არ ჩაითვლებოდა, უფრო კერძო ხასიათი ემჩნეოდა.

ესევე გარემოება მიგვაჩნდა მიზეზად, რომ ჩვენი ოჯახის ქალები არ იღებდნენ წარმოდგენებში მონაწილეობას და პირველი ამ საქმეში მონაწილეობის მიმღები „ოჯახის“ ქალიც, ბაბო ხერხეულიძე, საკიცხავი და საძრახისი შეიქმნა[14].

რომ ყველა ეს უხერხული და მავნე გარემოება მოგვეშორებინა საქმისთვის და ნამდვილ გზაზე დაგვეყენებინა იგი, საჭიროდ დავინახეთ მისი, ეგრეთ ვსთქვათ, განსაზოგადოება, რომ მთელს ჩვენს მოწინავე საზოგადოებას მასში მონაწილეობა მიეღო, საზოგადო საქმე საერთო შრომა-მეცადინეობით გაკეთებულიყო ამ საშუალებით იმედი გვქონდა, საქმესაც წესი და სიმაგრე მიეცემოდა და საზოგადოებაც კეთილის თვალით შემოგვხედავდა, „ბიჭბუჭის“ სახელს აგვხსნიდა თავიდან. ამ წელს (1869 წ.). ჟურნალი „მნათობიც“ გამოვიდა, და, აი, მისი საშუალებით ვიფიქრეთ თეატრის სასარგებლო პროპაგანდა გაგვეწია. ამიტომ შევადგინეთ თეატრის დაფუძნების გეგმის პროექტი და წინ მას თეატრის მნიშვნელობის წერილი წარვუმძღვარეთ. ამ წერილის ნაწილი რომ დავბეჭდეთ,[15] აზრი შევიცვალეთ. მაშინდელი (სამოციან წლების) დრო უფრო საქმიანობის დრო იყო და ლაპარაკსა და პროექტების წერას დიდ მნიშვნელობას არ ვაძლევდით. ამასთან ვიფიქრეთ იქნება ბევრსაც არავის წაეკითხა ის პროექტი, მით უმეტეს, რომ ძალიან ცოტა ხელის-მომწერი ჰყავდა „მნათობს“ (იმ დროს სულ 120), ან იმისთანას წაეკითხა, რომელსაც ქართული თეატრი არც კი ეპიტნავებოდა; ხოლო ვინც ამ საქმისთვის საჭიროდ მიგვაჩნდა და ვისი ყურადღებისაც იმედი გვქონდა, სულ 40—50 კაცი ძლივს იყო. ვამჯობინე პირდაპირ იმათთან მოგველაპარაკნა და რაიმე რიგად მონაწილეობის მიღება გვეთხოვა. ეს აზრი რომ გავუმჟღავნე ანტ. ფურცელაძეს და ლუარსაბ (მაქრო) მაღალაშვილს, ესენი დამეთანხმნენ ჩემი განზრახვის ვარგისობაში, ხოლო მაღალაშვილმა დასძინა: აი, ჩემი სახლი, მოიწვიე, ვინც საჭირო გგონია და მოვილაპარაკოთო.

ნიკ. ავალიშვილი.

(შემდეგი იქნება)

[12]) სიამოვნებით მაგონდება, მე და აკაკის რომ გვერგო ამ წარმოდგენებისთვის დეკორაციების საშოვნელად მუშტაიდში გამგზავრება. ამ მიზნის შესასრულებლად მუხრანიანთ ხიდიდან იმ სიშორეზე, საძაგელ ამინდში, თოვლჭყაპში და ტალახში, მთელი გზა ქვეითი ვიტლაპუნეთ, რადგან, მგონია, ჯიბეში არც ერთს (მე კი ნამდვილად) დროშკის ფული არა გვქონდა. მუშტაიდის ქუჩაზე გავეხუმრე ამ გამვლელ-გამოვლელებმა შენი ვინაობა რომ იცოდნენ, რამდენს გაცინებენ მეთქი. არაუშავს რა, საქმე ქვეითი სიარულით უფრო კეთდებაო, მიპასუხა.

[13]) მკერვალი ქალების ერთ-ერთ რეპეტიციაზე დაგვიანების გამო მათი მოყვანა და უფრო კიდევ ჩაგონება, ისევ აკაკის ერგო და ეგნატიშვილი მიეცა ასისტენტად. წასვლის უკან დიდხანს არ გაუვლია, რომ ორივ გულხეთქებით მოცვივდნენ და საყვედური მოგვაყარეს, სად გაგვგზავნეთ, კინაღამ არა გვცემესო. მერე გვიამბეს: ეზოდან შესულიყვნენ ქალების საკითხავად (სასახლის ქუჩაზე, ხარაჯიშვილის ძველ სახლში იყო სახელოსნო). იქ ვიღაც ბიჭები დახვედროდნენ და იმათთვის ეთქვათ: აქ ქალები არიან ისინი გვინდაო. «რაო, ქალებიო! ჰაი თქვე ასეთ-ისეთებო!» დაეღრიალათ ბიჭებს და ჯოხებისთვის წაეტანებოდნენ ხელი. ჩვენ დესპანებსაც, რაც ღონე ჰქონდათ მოეკურცხლათ.

[14]) ბაბო ხერხეულიძის ნათესაობა მაშინდელ უპირატესად გამოჩენილ და გავლენიან დიდ-კაცობას შეადგენდნენ ტფილისში. ესანი იყვნენ, სხვათა შორის, მეუღლენი თავ. მირსკისა, გენერალი ოპოჩინინისა, ივანოვისა, ოკლობჟიოსი და სხვ., რომელთა ოჯახებში იგი თაიგულად ითვლებოდა. სცენაზე გამოსვლის შემდეგ მათი სახლის კარები დაეხშო მას და უწინდელ პატივისა და მზრუნველობის ნაცვლად მათგან შორიდან რიხზვასა და კიცხვას და იხმენდა.

[15]) იხილე „მნათობი„ 1869 წ., წიგნი „ივლისი და აგვისტო“.

სარგებლობდა და მშვიდობიან ხალხს ატყავებდათ. რუსეთის მთავრობამ უარი უთხრა ამაზე იმ საბუთით, რომ რახიმ-ხანი პოლიტიკური დამნაშავეა, იგი ახალ წეს-წყობილების წინააღმდეგ იბრძოდაო.

**მახსევნების პატიება.**

პირველმა მინისტრმა სეპეხდარმა აპატია რახიმ-ხანის მომხრე მახსევნებს, რომლებმაც მოინანიეს ცოდვა. სეპეხდარი მუდმივ რაზმის დაარსებას აპირებს მათგან.

**ცეცხლი ქირმანშახში.**

ქალ. ქირმანშახში ცეცხლი წაეკიდა ბაზარს და 120-ზე მეტი დუქანი დაიწვა. ეჭვი აქვთ, რომ ეს ცეცხლი ძალად უნდა იყოს წაკიდებულით დაატუსაღეს უბნის ქეთხუდა (უფროსი).

## ბალკანეთის საქმეები

**სამხედრო გემების მისვლა პირეაში.**

რუსეთის ოთხი და ინგლისის სამი სამხედრო გემი მივიდა პირეაში (ათინას ნავთსადგურია); იქვე მოელიან იტალიის გემებსაც. ამდენ უცხოელ სამხედრო გემის მისვლამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია საბერძნეთის პოლიტიკურ წრეებში.

**საბერძნეთის მთავრობის განცხადება.**

საბერძნეთის მთავრობამ გამოუცხადა მფარველ სახელმწიფოების ოთხ ელჩს, რომ ოსმალეთი ბეჯითად ემზადება საომრადაო, საბერძნეთს-კი სრულებით არა სურს ოსმალეთის საომრად გამოწვევაო; საბერძნეთს მარტო თავის შინაურ საქმეების მოწესრიგება უნდა, ხოლო ამ საქმეს ძლიერ ხელს უშლის ოსმალეთის საომარი მზადება, რომელიც ხალხს აღელვებსო. რაც შეეხება კრიტის საკითხს, საბერძნეთის ეხლანდელი სამინისტრო იმავ თვალით უცქერის ამ საქმეს, რა თვალითაც მისი წინამორბედნი უცქეროდნენ, სახელდობ: კრიტის ბედი მფარველ-სახელმწიფოების ხელშიაო.

უცხოეთის გაზეთების ცნობამ ოსმალეთის შეიარაღების შესახებ მეტად ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა საბერძნეთის ხალხზე. ათინას პრესა ძლიერა ჰკიცხავს ახალგაზდა ოსმალებს: ოსმალებს უნდათ საბერძნეთის შინაური არეულობა თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენონ, ხოლო ბერძნებმა გუნებაშიაც არ გაიტარეს ესეთი ფიქრი, როდესაც ოსმალეთი შინაგან კრიზისს განიცდიდაო.

**„ტაიმს“-ის აზრი კრიტის საქმეზე.**

ინგლისურუ გაზ. „ტაიმს“-ი სწერს: ოსმალეთს არხეინად შეუძლიან თავის ინტერესების დაცვა დიდ სახელმწიფოებს მიანდოს. ინგლისი არც საბერძნეთის ავანტიურას დაუჭერს მხარს, არც კრიტისას. გაზეთს მოჰყავს ცნობილ ისტორიკოსის ფრედერიკ ჰარისონის აზრი: „ბალკანეთის მშვიდობიანობა დამყარებულია ეხლანდელ პირობების დაცვაზე; მტკიცედა ვარ დარწმუნებული, რომ სახელმწიფოები ისეთს გადაწყვეტილებას არ მიიღებენ, რომელიც ოსმალეთის ერს არ მოეწონება.

**რუსეთ-ავსტრიის დაახლოვება.**

რუსეთმა და ავსტრიამ სწორედ ბალკანეთის საქმეთა გამწვავების გამო მოინდომეს ერთმანეთთან დაახლოვება. მოლაპარაკება უკვე კარგა ხანია სწარმოებს. ეგაა გაზეთები იუწყებიან, რომ უკანასკნელ დღეებში მოლაპარაკებას დაბრკოლება გამოუჩნდაო. ავსტრიელი პოლიტიკოსები ჰფიქრობენ, რომ რუსეთი და ავსტრია ვერ მოახერხებენ ერთმანეთთან ნამდვილ შეთანხმებასო. ეს სახელმწიფოები მხოლოდ ერთ-ურთნდობის გამოცხადებას დასჯერდებიანო.

სერბიის მთავრობა შეეკითხა რუსეთის მთავრობას ავსტრიასთან დაახლოვების შესახებ. რუსეთის მთავრობამ უპასუხა, რომ ამ ჟამად ლაპარაკიც-კი არ შეიძლება ისეთს შეთანხმებაზე, როგორიც იყო მერცშტეგის შეთანხმება. ამ გადაჭრილ პასუხს გარდა, რუსეთის მთავრობამ დაარწმუნა სერბიის მთავრობა, რომ რუსეთი მუდამ მზადაა დახმარება გაუწიოს სერბიას და გაუადვილოს პოლიტიკურ და ეკონომიურ დამოუკიდებლობის დაცვა.

**ოსმალეთ-საბერძნეთის ურთიერთობის გაუმჯობესობა.**

„რუსკ. სლოვო“-ს ატყობინებენ: „23 იანვარს საბერძნეთის პირველმა მინისტრმა დროგუმისიმ მეტად მეგობრულად ელაპარაკა ოსმალეთის ელჩს ათინაში.

იმავე დღეს საბერძნეთის ელჩმა გრიპარისმა სტამბოლში ინახულა ოსმალეთის გარეშე საქმეთა მინისტრი რიფაატ-ფაშა და თავის მთავრობისგან მიღებულ ინსტრუქციის თანახმად, მეგობრულად დაარწმუნა, რომ საბერძნეთს გულწრფელად სურს მეგობრული განწყობილობა იქონიოს ოსმალეთთან და რომ მომავალ ეროვნულ კრებას განსაკუთრებით შინაგან საკითხების გადაწყვეტა ექნება მიზნადაო.

რიფაატ-ფაშამ დიდის კმაყოფილებით მოისმინა ელჩის განცხადება და თავის მხრივ დაუმატა, რომ ოსმალეთის მთავრობაც ასევე მეგობრულად უცქერის საბერძნეთს, რომ მათ შორის მეგობრული განწყობილობა არ დაირღვევა, თუ საბერძნეთი თავის მოქმედებით არ გამოიწვევს ოსმალეთსაო.

**ბოლგარ ფედერალისტების კრება.**

ბოლგართა ფედერალისტურმა პარტიამ საგანგებო კრება მოახდინა სალონიკში. 23 იანვარს გამოაცხადეს კრების დადგენილება. პარტიამ ძველ პროგრამას არ უღალატა და დაადგინა, ამას იქითაც ვიბრძოლოთ რაზმების მოქმედების წინააღმდეგ და კანონიერ ორგანიზაციების მოქმედება გავაძლიეროთო. მეთაურები სანდანსკი და ჩერნოპეევი დისციპლინის დარღვევისთვის პარტიიდან გამორიცხეს.

## უცხოეთი

**ტერორისტული მოძრაობა ინდოეთში.**

ტერორისტული მოძრაობა ინდოეთში თან და თან ძლიერდება. ეს მოძრაობა მიმართულია ინგლისის ბატონობის წინააღმდეგ. ინგლისის მთავრობამ, შეშინებულმა მოძრაობის გაძლიერებით, განკარგულება მოახდინა, რომ ბეჯითი თვალ-ყური ადევნონ ინდოეთში მიმსვლელებს. წარსულ 15 იანვარს ქალ. ბომბეიში გემ „სიდნეიზე“ შეიპყრეს ერთი ინდოელი, ქალ. მარსელიდან (საფრანგეთიდან) მოსული, და ბარგში უპოვეს პრაუნინგები, ყუმბარების მასალა და მრავალი პროკლამაცია. პროკლამაციები მოიწვევდნენ ინდოეთის ერს, აჯანყდით, ინგლისის უღელი მოიშორეთ თავიდანაო. ინგლისურ გემ „მაკედონიაზე“, რომელიც ბომბეიში აგრეთვე 15 იანვარს მისულიყო, თურმე მოდიოდა ერთი ინდოელი. პოლიციამ მოინდომა მისი დატუსაღება, მაგრამ გამოირკვა, რომ ეს ინდოელი გემიდან იზმაილიის ნავთსადგურში გადასულიყო, რადგან რაღაცა დეპეშა მიეღო პორტ-საიდიდან, მაგრამ თავისი ბარგი-კი გემზედვე დატოვებინა. ბარგი გახსნეს და შიგ იპოვეს იარაღი, ყუმბარების მასალა და პროკლამაციები.

**ინგლისის მუშათა პარტიის კონფერენცია.**

ამ მოკლე ხანში ქალ. ნიუპორტში მოხდება წლიური კრება ინგლისის მუშათა პარტიისა. კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებენ ინგლისის მუშათა ყველა ორგანიზაციების წარმომადგენელნი. კონფერენციის უმთავრესი საგანი იქნება: პარტიის მდგომარეობის განხილვა და იმის მიზეზის გამოკვლევა, თუ რად დაკარგა პარტიამ ხუთი ადგილი უკანასკნელ არჩევნების დროს.

**ამერიკელ მღვდელის ქადაგება.**

ნიუ-იორკის საეპისკოპოსო წმ. გიორგის ეკლესიის წინამძღვარმა ამას წინად კვირა დღეს სასტიკად გაკიცხა რამდენიმე მილიარდერი და მათ შორის „ტრესტების მეფე“ პირპონ მორგანი იმის გულისთვის, რომ ისინი ძლიერ გვიან მივიდნენ წირვაზე. ბოლოს მღვდელმა დაახასიათა მათი ქრისტიანული სათნოებაც.

„თქვენი ქრისტიანობა,—მიჰმართა მღვდელმა მილიარდერებს—სასაცილოდ აგდებაა ნამდვილ ქრისტიანობისა. მე გადავათვალიერე იმ ჯამაგირის სიები, რომელსაც თქვენ აძლევთ თქვენის აუარებელ მილიონებიდან და ვპოვე, რომ თქვენ მეტის-მეტად მცირედ გიფასებიათ შრომა. ამ წუთი-სოფელში არ უნდა იყვნენ ღარიბები, რადგან ქვეყანაზე ყველაფერი საკმაოდა ყველასთვის. უსამართლობაა, რომ ვინმე მეტს იღებდეს იმაზე, რაც მისთვის საჭიროა იმ დროს, როდესაც სხვები იტანჯებიან. როდესაც თქვენ ანგარიშს ჩააბარებთ ღმერთს, ძლიერ ინანებთ, რომ ორივ ხელით არ ურიგებდით ღარიბებს ვერცხლსა მაგრამ მაშინ გვიან და იქნება“.

## პასუხის პასუხი

**ავლაბრის თეატრის დირექტორს ბ-ნ ამო ხარაზიანს.**

თუმცა გვიან, მაგრამ გვარიანი პასუხი კი მოგვცა ბ-ნმა ამო ხარაზიანმა ჩვენ, ავლაბრის თეატრის ყოფილ სცენის მოყვარეებს, როგორც თვითონ გვიწოდებს. 14 იანვრის ადგილობრივ რუსულ-ქართულ გაზეთებში წერილები მოვათავსეთ, რომლითაც ვეკითხებოდით ავლაბრის თეატრის დირექტორსა და მოიჯარადრეს ბ-ნ ამო ხარაზიანს, რა მიზეზით დაითხოვეთ ქართული დასი ასე უზრდელად ჩვიდმეტი წარმოდგენის შემდეგ, როდესაც არავითარ შრომასა და მხნეობას არა ვზოგავდით, თითქმის ფულადაც კი, რამდენადაც შეგვეძლო, გეხმარებოდითო. მან პასუხი გაგვცა ჩვენი წერილის დაბეჭდვიდან ორი კვირის შემდეგ და მოათავსა რუსულ გაზეთ „Новая Рѣчь“-ის მე-20 ნომერში. ზემოხსენებულ ჩვენ შეკითხვებზე არავითარი საფუძვლიანი პასუხი არ არის. იგი მოჰყოლია, ლობე-ყორეს და სულ სხვას ამბობს, რაც იმდენად შეესაბამება ჩვენს შეკითხვას, რამდენადაც ბ-ნ ამო ხარაზიანის დასი დრამატიულ მსახიობებისაგან შესდგება.

ბ-ნი ამო ხარაზიანი ამბობს: „მე გაზეთების საშუალებით ვიწვევდი მხოლოდ ავლაბრის მკვიდრ ინტელიგენციას, რომ დამხმარებოდა სათეატრო საქმეშიო“. როგორც ბ-ნ ხარაზიანის სიტყვებიდანა სჩანს, იგი დიდ სინანულში ჩავარდნილა, რომ ინტელიგენციის მაგიერ ავლაბრელი სცენის-მოყვარენი აღმოჩენილან დასახმარებლად. ბ-ნი ხარაზიანი ისეთივე სცენის-მოყვარეა და ისეთივე დასი ჰყავს, როგორიც ქართულია. იმანაც ამ რვა წლის წინად ბ-ნ მურაშკოს თეატრში დაიწყო წარმოდგენების მართვა, როგორადაც ქართულმა დასმა. და არ ვიცით, ვის ეძახის ბ-ნი ხარაზიანი ინტელიგენტებს და ვის იწვევდა თავის მოწოდებით?! თუ სხვა გვარი ინტელიგენტები უნდოდა ბ-ნ ხარაზიანს, ისინი ხომ არ გამოვიდოდნენ სცენაზე? რატომ მადლობელს არ უნდა იყოს, რომ ხსენებული სცენის-მოყვარეები ინტელიგენტებადაც მოევლინნენ და სცენის-მოყვარეებადაც. მაგრამ კაცის თვალი გაუმაძღარიაო, რომ იტყვიან, სწორედ ასეა. ალბად, ბ-ნი დირექტორი იმ სხვაგვარ „ინტელიგენტებისაგან“ უფრო მეტ ოქროების ჩახრიალებას თუ მოელოდდა...

ბ-ნი ამო ხარაზიანი უკმაყოფილოა იმითი, რომ 17 წარმოდგენიდან შემოვიდა 623 მან. და დაიხარჯა-კი 1034 მან., ასე რომ 411 მან. ვიზარალე ქართულ წარმოდგენებიდან და ეხლა მადლობის მაგიერ, ბ-ნი ნასიძე და მისი კამპანია მლანძღავსო. ნურას უკაცრაოდ, თუ ბ-ნ ხარაზიანის ამ ციფრებს არ დაუჯერებთ. საქმე იმაშია, რომ ბ-ნმა ამო ხარაზიანმა არც ერთხელ არ ჩაგვახედა დავთრებში. ვინ ვიყავით ჩვენ, ან რას ვაკეთებდით ავლაბრის თეატრში?! ნუ თუ იმის უფლება არა გვქონდა, რომ ერთხელ ზერელე მაინც ჩაგვეხედნა ხარაზიანის დავთრებში? ჩვენ შეკითხვაზე, ყოველთვის იგი რიხიანად შემოგვიტევდა ხოლმე, თქვენ რა გესაქმებათ,—ზარალიც ჩემია და მოგებაცაო. ჩვენც ამიტომ გაჩუმებულნი ვიყავით. ჩვენ რომ დარწმუნებულნი ვყოფილიყავით და გვცოდნოდა, რომ ბ-ნი ხარაზიანი ბოლოს ასე მოგვექცეოდა, ცხადია, მის შემოსავალ გასავლის ანგარიშს კრიჭაში ჩაუდგებოდით. მრავალი საბუთია იმისი, რომ ბ-ნი ხარაზიანი მართალს არ ამბობს და ერთი საბუთი ამ მრავალთაგანი ის არის, რომ იგი ბილეთებს არეულ-დარეულად ჰყიდდა. ჩვენ ათასჯერ ვიტყვით, რომ ყალბია მის მიერ წამოყენებული ციფრები.

ბ-ნი ამო ხარაზიანი გვაშავებს: „მე თუმცა ამდენი ზარალი მქონდა, მაგრამ ბ-ნ სვიმონიძის რეჟისორად მოწვევამდე მაინც ყოველ სცენის მოყვარე ქალს, სუფლიორს და ბ-ნ გელიკურაშვილს ორ-ორ მანეთს ვაძლევდი თითო წარმოდგენაშიო“. ამაზეა ნათქვამი, ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებსო. სრული ჭეშმარიტებაა, რომ ზემოხსენებულ პირთათვის უეჭველად უნდა მიეცა თითო წარმოდგენაში ორ-ორი მანეთი, რადგან მთელი კვირის განმავლობაში შორის გზიდან დაიარებოდნენ და მათ კი არსაიდან სხვა არაფერი შემოსავალი არა ჰქონდათ. მთელი კვირის განმავლობაში ეს ორი მანეთი არც ეტლის ქირად ეყოფოდათ და არც იმას აუვიდოდა, რაც ფეხსაცმელი გაცვდებოდა. მაგრამ კითხვა იმაშია, აძლევდა თუ არა ორ-ორ მანეთს? ამაშიაც ძალიანა სტყუის ბ-ნი დირექტორ-მოიჯარადრე. სვიმონიძის მოწვევამდე შვიდი წარმოდგენა დაიდგა. ამ შვიდ წარმოდგენაში, როგორც თვითონ ამბობს, ზემოხსენებულ პირთათვის ანგარიშით 88 მანეთი უნდა გადაეხადნა, მაგრამ 42 მანეთზე მეტი არ გადაუხდია. აქაც „უტყუარ საბუთად“ თავისსავე შედგენილ დავთრებს წარმოადგენს, მაგრამ ამაზე უტყუარი საბუთი თითონ ზემოხსენებული პირნი არიან, რომელნიც აღიარებენ, ვის რამდენი მიუღია.

ზემოხსენებული სიცრუე, რომ აღარ იკმარა, დრამატიულმა მსახიობმა, მოიჯარადრემ, დირექტორმა და ავლაბრის სომხურ სცენისმოყვარეთა დასის რეჟისორმა ბ-ნმა ამო ხარაზიანმა უფრო დიდ მორევში შესტოპა. მან ქართული დასი მყვლეფავებად მონათლა (როგორც გაზეთში სწერია). მართალია, ღირსი ვიყავით ამგვარ სიტყვისა. ბ. სვიმონიძის რეჟისორად მოწვევის შემდეგ, პირობის ძალით, ბ-ნ ხარაზიანს, სხვათა შორის, მოთამაშეებზე—ათ წარმოდგენაზე—უნდა დაეხარჯოდა 110 მანეთი, დახარჯა-კი 54 მან. აქაც გავუნახევრეთ ხარჯი. ამ ხარჯებს გარდა, იყო კიდევ შემთხვევა, რამდენჯერმე, რომ ტანისამოსის ქირა არ დახარჯვია, რადგან ქართულ თეატრიდან მოგვქონდა ხოლმე; ცხადია, ეს კეთდებოდა ქართული დასის და არა ბ-ნ ხარაზიანის მეცადინეობით. იყო შემთხვევა მრავალჯერ, რომ ტანისამოსი და სხვა და სხვა რეკვიზიტი სათითაოდ ყველა მოთამაშეს მოჰქონდა. ქართული რედაქციებიც ხელს გვიწყობდნენ და წარმოდგენის განცხადებებს ყოველთვის უფასოდ გვიბეჭდავდნენ ხოლმე. აი, სწორედ ამგვარი უზომო მუშაობისათვის, რათა ხარაზიანის ჯიბე გასუქებულიყო, მან „მყვლეფელების“ სახელითაც კი მოგვნათლა. აქედან ცხადათა სჩანს, ვინ ვის უნდა ეძახოდეს მყვლეფელსა და მცარცველს...

„ქართული დასი მედავებაო,—ბრძანებს ბ-ნი ხარაზიანი,—რა მიზეზია, რომ როგორც სომხურ წარმოდგენებში, ისე ქართულში არ არის სცენა მორთულიო. ვისაც კარგად ეყურება სასცენო საქმე, იგი დარწმუნდება, თუ რა დიდ ხარჯსა თხოულობს სცენის კარგად მორთულობა და მე კი ამის შეძლება არა მაქვსო. ამიტომ ქართული დასი სცდილობს, რომ ჩემი თეატრის პრესტიჟი დასცეს საზოგადოებაში. რაც, აშკარაა, მათ შოვინისტობით მოსდითო“.

ჩემი გითხარი, გული მოგიკალიო. ჩვენ ხარაზიანს ვეუბნებოდით და იმასვე გავუმეორებთ, სომხურ წარმოდგენის დროს სცენა სამაგალითოდ მოეწყობოდა ხოლმე, რაშიაც დაგვეთანხმება სომხურ წარმოდგენებზე მოსიარულე საზოგადოებაც. ზოგჯერ მთელი სცენა მთლად ხალებით იყო მორთული, მაშინ, როცა ქართულ წარმოდგენაში ტახტზე დასაფენ ერთ ხალიჩასაც კი არ გვაძლევდა. ხშირად საჭირო იყო სცენა მდიდრული სავარძლებით მორთულიყო და ბ-ნი ხარაზიანი სწორედ ქართულ წარმოდგენებზე ჩაჰკეტავდა ხოლმე თავის საცხოვრებელ ოთახებს და არავის აძლევდა სავარძლებს და ოთახის სხვა მორთულობას. ეს კი ძალზე აუშნოვებდა ქართულ წარმოდგენებს, სომხურში კი არასოდეს ამისთანა რამე არ მომხდარა.

როგორც ზევითაცა გვქონდა ნათქვამი, 17 წარმოდგენაში, 14 წარმოდგენა შაბათს საღამოთი დაიდგა, ხოლო სამი—კვირა საღამოთი. რატომ უნდა ყოფილიყო ასე? ნუ თუ შეუძლებელი იყო, რომ ჯერ-ჯერით ყოფილიყო—ერთ კვირას ქართული და ერთს—სომხური? ორივეს ზარალი და მოგება ხომ თვითონ ბ-ნ ხარაზიანს ეკუთვნოდა? ხარაზიანის მოსაზრება სულ სხვა იყო. იგი ღრმად არის დარწმუნებული (რაც მაგალითებმაც გამოაშკარავა), რომ შაბათ-საღამოობით არც სომხურსა და არც ქართულ წარმოდგენას ხალხი არ ესწრება, ხოლო კვირა საღამოობით თეატრი მთლად იჭედებოდა. როდესაც მაგალითებმაც აჩვენეს, რომ შაბათობით ავლაბრის საზოგადოება თეატრში წასასვლელად ვერ იცლის, ამის შემდეგ რაღა პირით უნდა სთქვას, ქართულ წარმოდგენებიდან ცოტა შემოსავალი მაქვსო. თითონ ბ-ნი დირექტორი დარწმუნებულია, რომ შაბათობით სომხურსაც დიდი ზარალი ექნებოდა.

ამ რიგად, ბ-ნი ხარაზიანი ქართულ წარმოდგენებს შაბათობით გვამართვინებდა, ხოლო სომხურს—კვირაობით მართავდა. აშკარაა იმიტომ, რომ ხალხი სომხურს დასწრებოდა და ქართულს არა. მკითხველი ადვილად მიჰხვდება ამის შემდეგ, ვინ იჩენდა შოვინისტობას—ჩვენ თუ ამო ხარაზიანი?

ავლაბრის ქართულ დრამატ. ხელოვ. მოყვარეთა ამხ. გამგეობის წევრნი: **თ. ნასიძე, ი. მჭედლიშვილი, რ. ჯიბლაძე, რ. სალაყაია, ა დავიდოვი.**

(დასასრული იქნება)

## წერილი რედ. მიმართ

ჩვენ, ქვემორე ამისა ხელის მომწერნი, ავიღეთ რა დამტვირთავ-გადამტვირთავთა საერთო კოოპერატიულ არტელის მოწყობის საქმე, ამიერ კავკასიის რკინის გზებზე, თანახმად ხსენებულ გზების ანგარიშის მწარმოებლის ბ-ნ სემინიშინის პროექტისა, ვაცხადებთ, რომ ხსენებულ არტელში წევრად ჩარიცხვის უფლება აქვთ მუშებს და „ნასილშჩიკებს“, რომელნიც ამ ჟამად მსახურობენ რკინის გზებზე, განურჩევლად ეროვნებისა; არ მიიღებიან ისინი, რომელთაც არტელი სცნობს არა კეთილ საიმედოდ და ფიზიკურად შეუძლოთ და ამასთ ისინი, რომელთა წლოვანებაც არ შეესაბამება წესდებაში აღნიშნულ ნორმას (არ მიიღებიან 20 წ. ნაკლებნი ან და 45 წ. მეტი) და სხვა სახელმწიფოს ქვეშევრდომნი, რომელთა მიღება არტელს არ შეუძლიან მთავრობის ნებადაურთველად. ვინც არტელში შემოსვლას ისურვებს: 1. საჭიროა ანგარიშში გაუწიოს ყველა ზემოაღნიშნულ პირობას და 2. უნდა შეიტანოს [illegible] თავის სახელზე 30 მან. [illegible] გადასახადი; [illegible] უნდა [illegible] არტელის რწმუნებულთ.

ბოროტი პირები, რომელნიც დაინტერესებულნი არიან ხსენებულ საქმეში, ავრცელებენ ხმებს, რომ არტელი სდგება არა იმ მუშებისაგან, რომელნიც ამ ჟამად აწარმოებენ გადამტვირთავ-გადმომტვირთავ ოპერაციებს რკინის გზებზე, არამედ გარეშეებისაგან, იმ დროს, როცა არტელში მიიღებიან მხოლოდ ის ახალი წევრები, რაც აკლია არტელის საერთო რიცხვს (2,000 კ.) ამიტომ თამამად შეგვიძლიან ვიფიქროთ, რომ ახალ წევრთა რიცხვი არ აღემატება 20—25 პროც. ამასთან ვალდებულად ვრაცხთ ჩვენს თავს სიმართლის გულისთვის დავუმატოთ, რომ ჩვენ მიერ მოწყობილ კოოპერატიულ არტელის პროექტის ავტორს, ბ-ნ სემიანიშინს, რომელმაც დაგვირიგა პროექტის წიგნაკები და იშრომა რკინის გზის უფროსთან და სამმართველოს საბჭოში განცხადებების შედგენაზე, არავითარი სასყიდელი არ აუღია ჩვენგან დი არც რაიმე პირობები დაუდვია არტელში ჩაწერის უფლებებისთვის; მან რამდენჯერმე გამოგვიცხადა, რომ მომავალ წევრებს არტელისას არავითარ სასყიდელს არ გადაახდევინებს, რათა ამით არ დაიბადოს უნდობლობა არტელის ორგანიზაციისადმი, ხოლო ჯილდოს გაღების თანახმა არის მაშინ, როცა ესა თუ ის პირი არტელში სამუშაოს იშოვნის, ისიც იმდენი, რამდენსაც ორგანიზაცია შესაძლებლად სცნობს, ვინაიდან მისი პროექტის მიზანია მოაწყოს საერთო გადამტვირთავ-გადმომტვირთავო არტელი ყველა რკინის გზებზე და სანაოსნო საზოგადოებებში მთელ რუსეთში. ამ ჟამად იმის პროექტს, თანახმად გზათა მინისტრის განკარგულებისა, არჩევენ ყველა რკინის გზათა სამმართველოები.

ვსთხოვთ სხვა ადგილობრივ გაზეთებს გადაბეჭდონ ეს წერილი.

**ხელს აწერს 20 რწმუნებული.**

## კალენდარი

**იანვარი 31 დღე**

ახალი სტილით 12

# 30

მთვარე 2 დღისაა

30 დღე წლის თავიდან. რჩება 335 დღე.

## შაბათი

**მართლმ.** წმ. ვასილი დიდ. გრიგ. ღვ. მეტ.
**კათოლ.** წმ. მარტიანესი და გიპოლიტისა.
**გრიგორ.** წმ. გრიგოლ ღვთის მეტყველისა.
**მაჰმად.** შამბე 1 რ. საფარისა 1328 წ. ჰიჯ.
**ებრაელთა** შაბათი 3 რ.
უახლოესი უქმე სამშაბათს, 2 თებერვალს.

**ექიმი** ა. ი. შჩერბინინა
ველიკოკნიაზის ქ., N 66, კრილოვის ქ. პირდაპირ. ავად. მიიღებს 1—2 ს. ტელეფონი N 715. შინაგანი, ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობანი.
(100—1031—11)




**მოითხოვეთ სწორე და მკვიდრი საათები!**

**ნუ გამოეკიდებით სხვა იაფ ფასიან საათებს!**

**კარგი საათი ყოველთვის კარგ ფასადა ღირს. უკანასკნელი ამბავი პარიზისა.**

ოქროს საათის ნაცვლად, რომელიც 200 მან. ღირს, გირჩევთ შეიძინოთ მამაკაცის საუცხოვო საათი 3 დასაბუთით— „ხეცესია“, რომელიც ოქროს საათსა ჰგავს, რადგან ელექტრონ. საშუალ. გადაკრული აქვს 14% სქელი ოქრო. მექანიზმი ამ საათისა ნამდვ. შვეიცარ., 15 ქვიანი, იმართება 40 საათში ერთხელ. ეს საათი ნამდ. ახალ ოქროსია და დაჯილდოვებულია ოქროს მედლით და სხვა ნიშნ. **ფასი 5 მ. 25 კ.** 2 ცალი—10 მ., 4 ცალი—19 მ. 50 კ. ვინც ამ საათს ნახავს, ჰგონია 250 მან. ღირსო. ვგზავნი შემოწმებ. საათს ვკისრულობ პასუხის-მგებლობას 10 წლით. იგზავნება ფას-დადებით და უბედდ. გაგზავნა ბაჟით 60 კ. (ციმბირში 90 კ.) ადრესი შეიძლება ამოიჭრას და მაგრა მიეკრას კონვერტს ან ღია წერილს.

Парижъ 7 S. Strumfeld
PARIS B-ard St. Marcel 76

**უფასოდ** ვგზავნით ახალ ოქროსს კოხტა ძეწკვს და ზამშის ბუდეს საათისთვის. წერილის გამოგზავნა შეიძლება რუსულად, დაბეჭდილ წერილს უნდა დაეკრას 10 კ. მარკა, ღიას—4 კაპ. (Метцль и К⁰. N 247). (8—6.—6)

სტამბა „სინათლე“ რუსის ქუჩა № 3.

რედაქტორ-გამომცემელი ი. ხ. აგლაძე.